საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდ-ვუტი სიფფვაა, ფფუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 15 მაისი. 2019 წ. №95 (8761) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ჟან კლოდ იუნკერი: საქართველო არის 100 პროცენტით ევროპული ქვეყანა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ბრიუსელში ევროკომისიის პრეზიდენტ ჟან-კლოდ იუნკერს შეხვდა. საუბრისას ხაზი გაესვა ევროპული ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს და ქვეყანაში განხორციელებულ დემოკრატიულ რეფორმებს. ინ-ფორმაციას პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური ავრცელებს.

ევროკომისიის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველო არის 100 პროცენტით ევროპული ქვეყანა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ლი-დერი, რომლის მიღწევები მისასალმებელი და თვალშისაცემია. საუბარი შეეხო საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ საგზაო რუკას, რომელიც ევროკავშირთან მეტ ინტეგრაციას ისახავს მიზნად და აღინიშნა, რომ საქართვე-ლო იმსახურებს მეტს. საუბრისას ხაზი გაეს-ვა იმ ფაქტს, რომ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები დღეს უმაღლეს ნიშნულზეა. მხარეების შეფასებით, სწორედ ამის დასტუ-რია ევროკავშირის მიერ სპეციალურად საქარ-თველოსთვის შექმნილი უმაღლესი დონის ფორმატი, რომლის შეხვედრა გასული წლის ნოემბერში ბრიუსელში შედგა.

მთავრობის მეთაურმა და ევროკომისიის პრეზიდენტმა ასევე ისაუბრეს განათლების მას-შტაბური რეფორმის შესახებ. მამუკა ბახტაძისა და ჟან-კლოდ იუნკერის შეხვედრა აღმოსავლეთ პარტნიორობის 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენციის ფარგლებში გაიმარ-თა და მას საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი დაესწრო.

პოლიცია მაქსიმალურად უზრუნველყოფს მოქალაქეების მიერ თავიანთი არჩევანისა და აზრის გამოხატვას თავისუფალ და მშვიდ გარემოში

შინაგან საქმეთა მინის-ტრმა გიორგი გახარიამ წინასაარჩევნო პერიოდის მიმდინარეობასთან დაკავ-შირებით კომენტარი გაა-კეთა.

„ჩვენ შევაფასებთ მდგო-მარეობას როგორც ზუგ-დიდში, ისე მარნეულში, ისე ზესტაფონში და ჩვენს საერ-თაშორისო პარტნიორებთან ერთად კონსულტაციით გა-დავწყვეტთ, რა ძალებით უნ-და იყოს წარმოდგენილი პო-ლიცია ყველა ლოკაციაზე. ეს არის ტექნიკური საკითხი, რო-მელსაც ჩვენს პარტნიორებთან თანამშრომლობით გადავწყ-ვეტთ. ახლა, რაც შეეხება ძირითად ნაწილს, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო და პოლიცია მაქსიმალურად უზრუნველყოფს ჩვენი მოქალაქეების მიერ თავიანთი არჩევანისა და აზრის გამოხატვას თავისუფალ და მშვიდ გარემოში“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

რამდენი გვიჯდება მდუმარე პარლამენტარების შენახვა?! 5

ეკონომიკა წინ მიდის, სიღარიბე — უკან!!!

თვითკმაყოფილი ხელისუფლება და უკმაყოფილო მოსახლეობა 4



გელა ქოქიაშვილი — 80

ქართული სიტყვის, სიმღერისა და თამადობის ბერმუხა 6

◎ კრიტიკა მიზანში

დიდი დოზის სიბრიყვე უწიგნურების ქვეყანაში



„ვალიარებთ ოპოზიციაში **„ნაცმოძრაობის“ პრიორიტეტს“,** — ამ სიტყვებთან ერთად „რეს-პუბლიკელი“ **დავით ბერძენიშ-ვილი** აცხადებს, რომ მიშას მხარდამჭერთა გარეშე პრო-დასავლური ოპოზიცია **ბიძინა ივანიშვილს** ვერ დაამარცხებს. მისი თქმით, ქოცური თუ ნა-ცური აკვიატება — „მხოლოდ ბიძინა თუ გადაგვარჩენს სის-ხლიანი მიშას მობრუნების-გან“, ან „მარტო მიშა თუ მოგ-ვაშორებს პუტინის ჩანერგილ ბიძინას“ ერთნაირი დოზის სიბრიყვეა, რადგან ნაცური, თუ არანაცური ხმების ჯამი მაქსიმუმ ის 800 ათასი ხმაა, რაც **გრიგოლ ვაშაძეს** მისცეს მეორე ტურში.

დავით ბერძენიშვილის მტკიცებით, ნახევარზე მეტი ამ ხმებში არამიშისტური, მეტიც, ანტიმიშისტური ხმები იყო. უფრო ზუსტად, ეს იმ ხალხის ხმები იყო, ვინც 2012-ში მიშას წინააღმდეგ ბიძინას მისცა ხმა.

პოლიტოლოგი **სოსო ცინ-ცაძე** აცხადებს, რომ პირადად იგი ადრეც ამბობდა, რომ მოგ-ვწონს თუ არა, მიშას მომხრე-ებს დავარქმევთ თუ გრიგოლ ვაშაძის მომხრეებს, სააკაშვი-ლის მხარდამჭერთა გარეშე შეუძლებელია ბიძინას დამარ-ცხება. ეს კი, თუკი გრიგოლ ვა-შაძისადმი მიცემული ხმებით ვიანგარიშებთ, 800 ათასი ადა-მიანია.

„მე არც „ნაციონალების“ პარ-ტიის წევრი ვარ და არც მათი დი-დი ქომაგი, მაგრამ „ნაციონალუ-რი მოძრაობა“ პირველი პარ-ტიაა, რომელიც არჩევნების წა-გების შემდეგ არ გაქრა. თანაც, ასეთი წნეხის პირობებში, როცა მათ ლიდერებს შორის ზოგიერ-თი ციხეშია, ზოგი გაქცეულია“, — აცხადებს სოსო ცინცაძე და შეკითხვის საპასუხოდ, „ჩვენს ხალხს აქვს შიში, „ოცნების“ და-მარცხებამ მიშას მობრუნება არ გამოიწვიოს“, განმარტავს, რომ ჩვენი საზოგადოების შიში გა-საოცარია.

პოლიტოლოგის განმარტე-ბით, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ჩვენს საზოგადო-ებას აშფოთებს, რომ „მიშა მოვა“, „მიშას ბანდა დაბრუნ-დება“... სხვათა შორის, ასეთ-ნაირი განწყობა იყო ზვიადის მომხრეებშიც, 4 არჩევნები ჩა-ტარდა და ზვიადის ზოგიერ-თი ვენებგადაჭრილი მომხრე კიდევ ამტკიცებდა, უნდა დაბ-რუნდეს კანონიერი ხელისუფ-ლებაო. ამდენად, სოსო ცინ-ცაძეს აინტერესებს, ელემენ-ტარულად, კიდევ რამდენი არ-ჩევნები უნდა ჩატარდეს, რომ ეს შიში ამომრჩეველმა და-ძლიოს?! „ნაცმოძრაობის“ მე-რამდენე თაობა უნდა მოვი-დეს, რომ „ბანდა დაბრუნდე-ბა“-ს ძახილი არ იყოს?!

იხ. 5 გვ.

სალომე ზურაბიშვილი:

ახლო მომავალში ევროკავშირსა და ნატოში შევალთ!

ჩვენ აუცილებლად უნდა მივიღოთ ის სტატუსი და პროგრამა, რომელიც ჩვენს ამჟამინდელ პოზიციას შეეფერება, – განაცხადა „პოლონური პრესის სააგენტოსთან“ საუბრისას საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა.

მისი თქმით, პოლონელი მეგობრებისგან ვიღებთ „საუკეთესო მხარდაჭერას ცენტრალური ევროპის რეგიონიდან როგორიც კი შეიძლებოდა გვენატრა ევროპისა და ნატოსკენ მიმავალ გზაზე“.

წელს 10 წელი სრულდება „აღმოსავლეთი პარტნიორობის“ შექმნიდან, რომელიც პოლონეთისა და შვედეთის ინიციატივით შეიქმნა და რომლის მიზანიცაა ექვსი სახელმწიფოს დაახლოება ევროკავშირთან. ეს ქვეყნებია: საქართველო, უკრაინა, ბელორუსი, მოლდოვა, სომხეთი და აზერბაიჯანი.

პოლონეთისა და შვედეთის წყალობით დაიძრა ინიციატივა, რომელიც საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ამ ინიციატივამ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ბევრი სერიოზული მოქცევისკენ გაგვიხსნა გზა. მათ შორისაა: ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და ვიზალიბერალიზაცია – აღნიშნა პრეზიდენტმა.

„ეს ძალზე კონკრეტული და საგრძნობი ნაბიჯებია ევროინტეგრაციის გზაზე“.

ჯერ კიდევ არ გვაქვს კანდიდატის სტატუსი მაგრამ მიუხედავად ამისა, უნდა დავაფასოთ ის პოზიცია, სადაც ვიმყოფებით – ჩვენ ახლა ყველაზე უფრო დაწინაურებულ პარტნიორ ქვეყანას წარმოვადგენთ. ჩვენ აუცილებლად უნდა მივიღოთ ის სტატუსი, და პროგრამა, რომელიც ჩვენს ამჟამინდელ პოზიციასშეეფერება. ბევრი სექტორი და სფერო არსებობს, რომლებშიც საქართველო უკვე თავისუფლად შეძლებდა ევროკავშირის წევრობას, **„მანამდე სანამ ევროკავშირის სრულფასოვანი წევრის სტატუსი მოგვენიჭება – ეს კი ნამდვილად ახლო მომავალში მოხდება, ამაში ნამდვილად დარწმუნებული ვარ“,** – დასძინა პრეზიდენტმა.

...თუნდაც ხვალ დილითვე შევიდოდით ალიანსში...

ახლა ჩვენს ისტორიაში ყველაზე უფრო ახლოს ვართ ნატოს კართან, – ასე შეაფასა სიტუაცია „პოლონური პრესის სააგენტოსთან“ საუბრისას საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა. მისი აზრით, საქართველოს ნატოში მიღება არა ქართულ რეფორმებზე, არამედ პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

„საქართველოს გეგმები ნატოში შესვლასთან დაკავშირებით ძალზე ნათელია და ჩვენ ძალზე მარტივად შევძლებდით ამ ორგანიზაციაში შესვლას თუნდაც ხვალ დილით, რადგანაც, პრაქტიკულად, ყველა საჭირო რეფორმა ჩავატარეთ და ყველა აუცილებელი მოთხოვნა და სტანდარტი დავაკმაყოფილეთ. თუკი ხვალ დილით მოგვეცემოდა ნატოში შესვლის სამოქმედო გეგმა, საქართველოს სულ ორი თვე დასჭირდებოდა, რომ საწევრო მოთხოვნები საბოლოოდ დაეკმაყოფილებინა“, – თქვა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის აზრით, ეს საკითხი ნამდვილად არაა დამოკიდებული ქართულ რეფორმებზე, სტანდარტების დაკმაყოფილებაზე, სამხედრო ხარჯებზე და საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობაზე. მისი შეფასებით, ეს საკითხი „პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული“.

რუსეთი პრობლემაა, მაგრამ ჩვენ არ გვეშინია!

დიახ, რუსეთი პრობლემაა, მაგრამ ჩვენ არ გვეშინია, რადგანაც თუკი შიშზე დავიწყებთ კონცენტრირებას – მაშინ სხვა ყველაფერი დაგვავიწყდება, – განაცხადა „TVP Info“-ს ეთერში საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, რომელიც პოლონეთში პირველი ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. მისი თქმით, გამომდინარე 2008 წლის ტრაგიკული მოვლენებიდან, ახლა ძნელია, ქართველები რამით შეაშინო.

„დღეს რუსეთს საქართველოს ტერიტორიები აქვს ოკუპირებული, მაგრამ მოვა დღე და ჩვენ ამ რეგიონებს დავიბრუნებთ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – გავერთიანდებით იმ ხალხთან, რომლებიც ახლა ოკუპირებულ მიწებზე ცხოვრობენ“.

საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ რუსეთთან დაპირისპირების პრიზმაში. **„საქართველო არსებობს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელსაც სურს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება, რომელსაც აქვს საკუთარი საგარეო და ეკონომიკური პოლიტიკა. რუსეთი არ განსაზღვრავს არც ჩვენს მომავალს და არც ჩვენს არსებობას“.**

◎ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

ცოდნის შეძენის დიდ გზაზე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ტრადიციად იქცა მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მოსწავლეთა ყოველწლიური დაჯილდოება. წლევანდელი წელიც არ ყოფილა გამონაკლისი. მიმდინარე წლის 11 მაისს აკადემიას მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის 73-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის დასკვნითი ტურის გამარჯვებულები ესტუმრნენ თავიანთ პედაგოგებთან ერთად.

შეხვედრა გახსნა ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა,** შემდეგ სიტყვა გადაეცათ ყველა გამარჯვებულ მოსწავლეს. ამის შემდგომ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. კონფერენციის გამარჯვებულებს საჩუქრად გადაეცათ აკადემიის სიგელი, როინ მეტრეველის წიგნი – „ქართლის ცხოვრება“ და ტკბილეული.

დაჯილდოებულთა შორის კი იყვნენ: **ნინო მარკოიძე, გვანცა ლაბუჩიძე, თამარ გოგიაშვილი, ნიკოლოზ ცომაია, მარიამ ახვლედიანი, ქეთევან ზივზივაძე, თამარ ხურცილავა, დავით ზაქარაძე, გიორგი სარჯველაძე, ნიკოლოზ აზმაიფარაშვილი, ნიკოლოზ პაპიაშვილი და ლუკა ნოზაძე.**

სანდრა დემაგოგობს

ხმაური ზუგდიდის საკრებულოში – რიგგარეშე სხდომაზე მისულ ოპოზიციასა და მერობის კანდიდატს სანდრა რულოვსს, ზუგდიდის მეექვსე საჯარო სკოლის გარდაცვლილი დირექტორის ია კერზაიას სახელობის სკვერის გახსნაზე სურდა საუბარი. რა დროსაც გავრცელდა ფარული ჩანაწერი, სადაც „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი გია დანელია აცხადებს, რომ მას „ოცნების“ შტაბიდან აქვს მიღებული დავალება, გამოყენებული იქნეს ყველანაირი მეთოდი არჩევნებში გასამარჯვებლად.

აღნიშნული საკითხის განხილვა გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლებმა მოითხოვეს, რისი საშუალებაც საკრებულოს წევრბემა არ მისცეს, მათ ატეხეს ხმაური და ოპოზიციის მერობის კანდიდატი იძულებული გახდა, დარბაზიდან გამოსულიყო და ჟურნალისტებისთვის კომენტარი გაეკეთებინა.

სანდრა რულოვსი ინტერესდება, ნიშნავს თუ არა ყველანაირ მეთოდზე გადასვლა ახალი ია კერზაიას მიღებას, გატაცებებსა და დაშინებებს: **„ჩვენ გვინდოდა ია კერზაიას სკვერის გახსნის საკითხის დაყენება, რა დროსაც გავრცელდა ფარული ჩანაწერი, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის გია დანელიას თქმით თათბირზე იყო „ოცნების“ შტაბში და მიიღო დავალება, ყველანაირ მეთოდზე უნდა გადავიდეთო, რას ნიშნავს ეს, რომ იყოს გატაცება, ხალხის მოსყიდვა?**

ისევ ია კერზაია რომ მივიღოთ?“, – განაცხადა რულოვსმა.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტმა რულოვსს დადიანების სასახლეში სუს-ის მიერ განხორციელებულ თავდასხმაზე კომენტარის გაკეთება სთხოვა: **„ეს იყო პროვოკაცია“,** – განაცხადა რულოვსმა და მაგალითად კვლავ ის ფარული ჩანაწერი მოიყვანა, სადაც გია დანელია ყველანაირი მეთოდის გამოყენებაზე საუბრობს.

გია დანელია: ჩემი ხმა არ არის, ფალსიფიცირებულია, ეს მე არ ვარ!

სკანდალური ვიდეოჩანაწერში მონაწილე“ „ქართული ოცნების“ წევრი და ზუგდიდის საკრებულოს დეპუტატი გია დანელია ჩანაწერს ფალსიფიცირებულს უწოდებს.

„როგორ გეკადრებათ, ჩემი ხმა არ არის, ფალსიფიცირებულია. ეს მე არ ვარ. რას ბრძანებთ, გამორიცხულია, მე არ ვარ“, – ამბობს გია დანელია.

„სენსაციური“ ინციდენტი ზუგდიდში, შსს-მ გამოძიება დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ზუგდიდში, დადიანების სასახლის ეზოში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს.

შეგახსენებთ: ზუგდიდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიგზავნილმა პროვოკატორებმა, გაერთიანებული ოპოზიციის – „ძალა ერთობაშიას“ მერობის კანდიდატის სანდრა რულოვსის თანმხლებ პირებს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

შემთხვევა ტელეკომპანია „ოდიშის“ გადაცემა „ლუსტრაციის“ ჩაწერისას მოხდა. ადგილზე მისულმა სუს-ის პროვოკატორებმა შეურაცხყოფა ჟურნალისტებსა და ოპერატორებს მიაყენეს და გადაცემის ჩაწერის ჩაშლა სცადეს. გუშინვე პოლიციამ ერთი პირი დააკავა.

მდუმარე პარლამენტარების შენახვა 2018 წლის განმავლობაში ბიუჯეტს 1,657,000 ლარი დაუჯდა

კობა ნაყოფია, ვიქტორ ჯაფარიძე, ელგუჯა გოცირიძე, ლევან ბეჟანიძე, გიორგი თოთლაძე, დიმიტრი სამხარაძე, ირაკლი ხახუბია — ეს იმ დეპუტატების ძალიან მცირე ჩამონათვალია, რომელთაც 2018 წელს თავიანთი უფლებამოსილება საერთოდ არ შეუსრულებიათ. მეტიც, უმეტეს შემთხვევაში პარლამენტში არ დადიან და პლენარულ სხდომებს არ ესწრებიან.

ფლანგვის დეტექტორის ინფორმაციით, ჯამში ცუდი ყოფაქცევით პარლამენტის **30 დეპუტატია** გამორჩეული, აღსანიშნავია, რომ აქედან **24 „ქართული ოცნების“** წევრია.

„მდუმარე პარლამენტარებზე“ უფრო ვრცლად არასამთავრობო ორგანიზაცია მმართველობის მონიტორინგის ცენტრის ინოვაციური მედიაპროექტი **ფლანგვის დეტექტორი** წერს:

„პარლამენტში ამ დეპუტატებს არ უსარგებლიათ სიტყვის უფლებით, არ გაუკეთებიათ კომენტარი, არ დაუსვამთ კითხვა და, შესაბამისად, სრულფასოვნად არ მიუღიათ მონაწილეობა საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში. ამასთან, მდუმარე დეპუტატები საპარლამენტო სხდომების გაცდენით გამოირჩევიან. ამ მხრივ ლიდერობს კობა ნაყოფია. მან 49 პლენარული სხდომიდან 47 გააცდინა. ის წინა წლებშიც ყველაზე გამცდენი პარლამენტის წევრი იყო.

წლის ყველაზე მდუმარე პარლამენტარების სიაში ისეთებიც არიან, რომლებსაც წინა წლებშიც არ უსარგებლიათ საკუთარი მიკროფონით. მაგალითად, ენზელ მკოიანი და გიორგი კოპაძე“.

დეპუტატების, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას არასრულფასოვნად ან საერთოდ ვერ ასრულებენ, ქვეყნის ბიუჯეტს 2018 წლის განმავლობაში **1,657,000 ლარი დაუჯდა.** ეს ტენდენცია ყოველწლიურია და მისი კონტროლი თითქმის შეუძლებელი.

პარლამენტარების საქმიანობა **„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომაც“** შეისწავლა. ორგანიზაცია ყოველწლიურად აკვირდება და როგორც ირკვევა, პრობლემები ყოველწლიურად უცვლელია. მათ შორის, გაცდენები და დაკისრებული მოვალეობისადმი უპასუხისმგებლობა.

„ტრადიციულად დეპუტატები ბოროტად სარგებლობენ კანონით, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, სხდომა გააცდინონ ოჯახური მდგომარეობის გამო. ამ მიზეზით, მაგალითად 2017 წელს 1430 გაცდენა დაფიქსირდა და ციფრი მსგავსია 2018 წელსაც. რა თქმა უნდა, სხდომაზე არც ისეთი პარლამენტარის ყოფნას არა აქვს აზრი, რომელიც წლის განმავლობაში ერთხელაც არ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას, არ აფასებს ფაქტს და სიტყვით არ გამოდის. საუბარიც ზედმეტია საკანონმდებლო ინიციატივაზე. შედეგად, ჩვენმა რეკომენდაციამაც უკვე ტრადიციული ხასიათი მიიღო — დეპუტატები დაკისრებულ მოვალეობას მეტად პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ“, — ამბობს „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ საპარლამენტო მდივანი ლიკა საჯაია.

როგორ უნდა მოგვარდეს პრობლემა ისე, რომ დეპუტატები პლენარულ სხდომებს დაესწრონ და საკუთარი მოვალეობა სრულყოფილად შეასრულონ?

ლიკა საჯაიას ერთ-ერთ ეფექტურ გზად სანქცია მიაჩნია, თუმცა უფრო მნიშვნელოვნად საზოგადოებრივ განწყობას ასახელებს:

„ახალი რეგლამენტის მიხედვით, კონტროლი უფრო გამკაცრდა და რა შედეგებსაც გამოიღებს, ამას უკვე წლის ბოლოს შევაფასებთ, მაგრამ ეს მაინც არ არის მთავარი. სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს ფულადი სანქციები, გაფრთხილება და ა.შ. ყველაზე ეფექტური მაინც საზოგადოების განწყობაა — როდესაც დეპუტატი აცნობიერებს, რომ მისი დაუდევრობის გამო ხალხს აგრესია გაუჩნდა და შემდეგ ჯერზე შესაძლოა აღარ აირჩიონ, ეშინია, ფრთხილობს. შესაბამისად, ზოგადად კარგია, როდესაც საზოგადოებას ყველაფერზე ჰქონდეს შესაბამისი რეაგირება“.

მდუმარე დეპუტატების სრული ჩამონათვალი და მათი ყოველწლიური ანაზღაურება:

ლევან ბეჟანიძე — 55485; რუსლან გაჯიევი — 43788; ელგუჯა გოცირიძე — 55485; მახირ დარზიევი — 60285;

მუხრან ვახტანგაძე — 56865; ცოტნე ზურაბიანი — 56958; გიორგი თოთლაძე — 44660; ედიშერ თოლორაია — 43200; შალვა კიკნაველიძე 56865; გიორგი კოპაძე — 50364; თეიმურაზ კოხრეიძე — 60285; იოსებ მაკრახიძე — 55485; სამველ მანუკიანი — 55485; სავალან მირზოევი — 45132; ენზელ მკონიანი — 55485; რომან მუჩიაშვილი — 55485; თამაზ ნავერიანი — 55485; დიმიტრი სამხარაძე — 61665; გოდერძი ჩანქსელიანი — 55485; არჩილ ხაბაძე — 60285; ფატი ხალვაში — 55485; ვიქტორ ჯაფარიძე — 42000; თენგიზ ხუბულური — 56865; კობა ნაყოფია — 60285; აზერ სულეიმანოვი — 60285; ზაზა კედელაშვილი — 61665; გიორგი ღვინიაშვილი — 65039; გელა მიქაძე — 55271; რამაზ ნიკოლაიშვილი — 60285.

სალომე ლემონჯავა

ყრუ და ბრმა ოპოზიციის გასაგონად

აფხაზეთის ელექტროენერგიით მომარაგება საქართველოს სუვერენული ინტერესია!

„ჩვენი ენერგეტიკული სისტემა დღესაც, მტრის მცდელობის მიუხედავად, ერთიანია. ჩვენ ენერგეტიკულ სფეროში ტერიტორიული მთლიანობა, შეიძლება ითქვას, შენარჩუნებული გვაქვს“, — განაცხადა ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ, რომელმაც გუშინ ენგურჰესი მოინახულა. თურნავას თქმით, აფხაზეთის ელექტროენერგიით მომარაგება საქართველოს სუვერენული ინტერესია და ამ თემის პოლიტიკური მიზნებით გამოყენება მიუღებელია. მისივე თქმით, „ენგურჰესი“ არის ერთერთი იმ ძალიან მცირე ძაფებისგან, რაც დღეს დაგვრჩა და გვაერთიანებს აფხაზეთთან, ჩვენს აფხაზ დებთან და ძმებთან, ყველანი უნდა მოვუფრთხილდეთ ამ ძაფებს“.

„რაც შეეხება იმ ცრუ და სრულიად გადაუმოწმებელ, აბსურდულ ე. წ. ვერსიებს, თუ რატომ ვაწვდით აფხაზეთს ელექტროენერგიას ენგურჰესიდან, ენგურვარდნილის კაშხალი არის ჩვენი ეროვნული სიმდიდრე, მრავალი წელია, ენგურჰესი ელექტროენერგიას აწვდის სრულიად საქართველოს, მათ შორის აფხაზეთს და ჩვენი სუვერენული ინტერესის გამოყენება იმისთვის, რომ პოლიტიკურ დებატებში ვიღაცას ვავნოთ, ეს მხოლოდ მტრის წისქვილზე ასხამს წყალს, ეს მიუღებელია“, — განაცხადა თურნავამ.



თვითკმაყოფილი ხელისუფლება და უკმაყოფილო მოსახლეობა

ვიდრე „ოცნების“ ხელისუფლების მიერ სანაქებო საქმეთა კეთებით გამოწვეულ თვითკმაყოფილებაზე რამეს ვიტყოდეთ, ან იმას გავარკვევდეთ, რატომ ჩაეძინა ეკონომიკას, ალბათ, ურიგო არ იქნება, მთავრობის მთავარ ოპოზიციონერად მონათლულ ნაცებს ვკითხოთ: მთელი დრო მარტო ივანიშვილის გინება-თათხვით რომ ხართ გაგულავებული, რატომ გაქვთ თვალები დაბრმავებული, რატომ მხოლოდ გაუკეთებელ-გაფუჭებულს ხედავთ და გაკეთებულს, ცხვირწინაც რომ გედოთ, მაინც ვერ ამჩნევთ?!

თავის მხრივ, ქოცები, რა თქმა უნდა, ნაცების ღავღავს აინუნშიც არ აგდებენ და საკუთარ მონაპოვართა ცქერით გამოწვეულ ტკბობას განაგრძობენ. აი, თუნდაც იმ რეიტინგით ტკბობას, რომელსაც საქართველომ ბოლო წლებში მიაღწია. ადრე თუ მას მსოფლიოში კანტიკუნტად ვინმე იცნობდა, „ოცნებამ“ საკუთარ ქვეყანაში რეიტინგის ისეთი ტალავერი გააშენა, ახლა მთელი დუნია სანამყენე ჯიშებს აქედან ეზიდება. ეს ეკონომიკური და საგანმანათლებლო რეფორმებიო, ეს ბიზნესის საკეთებლად შექმნილი უიოლესი პირობებიო, ეს გაჭირვებული მოსახლეობისთვის საბანკო ვალების განულებაო, ეს დევნილებისთვის ბინების გადაცემის უწყვეტი პროცესიო და კიდევ, რა აღარ, რამაც საქართველოს რეიტინგული ქვეყნის სწორუპოვარი იმიჯი შეუქმნა.

სწორედ ამ მიღწევებით გამოწვეული სიამაყის დასტური გახლდათ ამ დღეებში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის წარმატებული გამოსვლა, „საქართველო, – განაცხადა მან მაღალი ტრიბუნიდან, – რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში ყველაზე კორუმპირებულ ქვეყანათა შორის მოიხსენიებოდა, დღეს ვამაყობთ, რომ ჩვენთან ეს მაჩვენებელი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებია. ღია ბიუჯეტის ინდექსით საქართველო შვეიცარიისა და ნორვეგიის შემდეგ, მოწინავე ადგილზეა“.

რა თქმა უნდა, უსამართლობა იქნებოდა, ქვეყნის დამაქცევარ ნაცებსა და ზედმეტად მშვიდ ქოცებს შორის ტოლობის ნიშანი დაგვესვა, ვერ დაგვენახა ის პროგრესული ნაბიჯები, რაც ბიძინა ივანიშვილის გუნდმა გადადგა, მაგრამ ქვეყანაში ჯერაც სიმართლეს რომ ხშირად უსამართლობა ღრღნის, ხოლო მზარდ ეკონომიკას – სიღატაკე და უმუშევრობა, ამის პასუხისმგებლობას ცხადია, მეოცნებე ხელისუფლება ვერასდროს ვერსად გაექცევა. იმისთვის, რაც ბოლო ათწლეულების მანძილზე ქვეყნის ეკონომიკას დაემართა, პასუხისმგებლობა შევარდნაძე-სააკაშვილის რეჟიმებთან ერთად ივანიშვილის ხელისუფლებასაც ეკისრება, მაგრამ ზოგადი საუბარი რომ არ გამოგვივიდეს, მოდით, კონკრეტულად, დასაბუთებულად ვიმსჯელოთ, რამ დაადამბლავა ეკონომიკა, მას მართლა ჩაეძინა, თუ ხელისუფალთა არაპროფესიონალიზმით ერთ ადგილზე გაიყინა?

როგორც ყველგან, მთავრობები მოდიან და მიდიან, ვიდრე ავირჩევდეთ, გვებაქიბუქებიან – აი, ნახავთ, ქვეყანასაც ავაყვავებთ, და თქვენც ბედსა გწევთო, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდება, რომ ქვეყნისა და ხალხის კი არა, თურმე საკუთარი ქონების დასაგროვებლად და, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, პირადი კეთილდღეობის ასაყვავებლად მოსულან(!)

ასეა ახლაც, მთავრობას ეკონომიკა ისედაც თაროზე ჰქონდა შემოდებული და ამჟამინდელმა მწვავე სამართლებრივი ცვლილებების სეზონმა ის სულ მთლად გადაავიწყა. ამას ემატება საპატრიარქოსა და „რუსთავი-2“-ის ირგვლივ ატეხილი გაუთავებელი გნიასი ყველგან, სადაც კი პროვოკაცია-ინტრიგას, ცილისწამებას ხელი მიუწვდება და შემოგვცქერის გონიერ მმართველთაგან უმწეოდ მიტოვებული ქართული ეკონომიკა.

მას, ვინც ეკონომიკის ანაბანა იცის, კარგად მოეხსენება, რომ უპროდუქციოდ, მატერიალური დოვლათის შეუქმნელად ეკონომიკა არ იქმნება, ჩვენში კომუნისტური რეჟიმის „უპრაგონო“ ნგრევას თან მოჰყვა ფაბრიკა-ქარხნების მასობრივი ნგრევაც, რასაც, ბუნებრივია, თან დაერთო უმეწარმეო ეკონომიკის აღმავლობა. დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ძირითადად ვითარდება მომსახურების, მშენებლობისა და ტურიზმის ზრდის ხარჯზე. იმის გამო, რომ ქვეყანაში ცოტა რამ თუ იწარმოება, ხალხი მთლიანად ჩამოკიდებულია იმპორტირებულ პროდუქტზე, მომსახურება რადგან არ ქმნის მატერიალურ დოვლათს ქვეყანაში, შესაბამისად, ის არ ზრდის მოსახლეობის კეთილდღეობის დონესაც.

დარწმუნებული ვარ, ეკონომიკის დაუძლურების ჩემეული ლოგიკა (და არა მარტო ჩემეული, ეკონომიკის უამრავი ექსპერტიც ასევე ფიქრობს) ქვეყნის ხელისუფალთ გულზე ვარდად არ მოეფინებათ. ისინი მომიტრიალდებიან და მეტყვიან: ჩვენო საქმიანო ანალიტიკოსო, თუ ეკონომიკა არ ვითარდება და ერთ ადგილზეა გაყინული, მაშ, როგორღა ხდება, რომ ის ყოველთვიურად და ყოველკვარტალურად 4-5 პროცენტით იზრდება? მე, რა თქმა უნდა, შევეკამათები: ნუ თვალთმაქცობთ, ბატონებო, არ გინდათ, გამოტყდეთ, თორემ მშვენივრად იცით, რომ ეკონომიკის ასეთი ტემპით ზრდა ვერც კუს ნაბიჯით მოარულ ეკონომიკას ამოსწევს, ვერც მშიერ ხალხს დააპურებს და ვერც ლარის მორბენალ კურსს დაასტაბილურებს. ეკონომიკის ექსპერტთა ანალიზით, იმისთვის, რომ ევროკავშირის ყოველწლიურად 2 პროცენტით ეკონომიკის მზარდ ქვეყნებს დავეწიოთ, ჩვენ მინიმუმ 7-8 პროცენტით მაინც უნდა გავზარდოთ ეკონომიკა. საშუალო 5-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდის პირობებშიც კი 50 წლის შემდგომ საქართველოს ეკონომიკა საშუალო ევროპულ დონეზე ორჯერ ნაკლები იქნება. აი, 10-პროცენტიან ზრდას თუ მივაღწევთ, მაშინ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ დაწევის პეროდი 25 წლამდე შემცირდება(!)

ეკონომიკამ რომ სწრაფად მზარდ განვითარებას მიაღწიოს, ხელისუფლებამ აქცენტი ადგილობრივი წარმოების ზრდაზე უნდა აიღოს, ჩვენ კი ვართ ქვეყანა, რომელიც ნაკლებს აწარმოებს და მეტი შემოაქვს, საზღვარგარეთიდან უფრო მეტს ყიდულობს, ვიდრე ყიდის. წარმოებულ პროდუქციაში მცირეა საშუალო ბიზნესისა (8,7 პროცენტი) და მცირე ბიზნესის (9,4 პროცენტი) წილი, რაც ქვეყნის კეთილდღეობის ზრდაზე უარყოფითად აისახება. ცნობილი ეკონომისტისა და სწავლულის ლადო პაპავას აზრით, მარტო ის, რომ ეკონომიკა (მთლიანი შიდა პროდუქტი) იზრდება, ბევრს არაფერს ნიშნავს. მთავარია, ვნახოთ, შიგნით სტრუქტურაში ყველაზე მეტად რა იზრდება. სამწუხაროდ, ბოლო წლებში ყველაზე მეტად იზრდება ფინანსური სექტორი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც უფრო მეტ ვალს იღებს მოსახლეობა, მით უფრო იზრდება ეკონომიკა. ეს სინამდვილეში ნიშნავს კეთილდღეობას? რა თქმა უნდა, არა და ამიტომაც გარბის მოსახლეობა ქვეყნიდან უკეთესი ცხოვრების საძებნელად.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რას აკეთებს ხელისუფლება ამ უსიამოვნო პროცესის შესაჩერებლად და ეკონომიკის მოსაღონიერებელ შესაძლებლობათა გამოსავლენად? შეიძლება ითქვას, რომ ბევრს არაფერს. როგორც ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა ამ დღეებში განაცხადა, კვლავაც შეფერხებულია ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის სამუშაოები, რომელთა დასრულების შემდეგაც ამ ქვეყნისთვის საარსებოდ მნიშვნელოვანი ობიექტიდან ღატაკი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი მილიარდობით ლარის შემოსავალს ელოდება.

მთავრობა ჯერაც არ აქცევს ყურადღებას ცნობილი მეცნიერი-მკვლევარის პაატა გიორგაძის მიერ შემუშავებულ ქართული სასმელი წყლის ინდუსტრის საქვეყნოდ გახმაურებულ პროექტ-კონცეფციას, რომელიც საქართველოს დაუმდურებელ ეკონომიკას სულ რაღაც 18 თვეში 190-მდე სასმელი წყლის ჩამოსახმელ-დამფასოებელი ქარხნის აშენებას, პირველ ეტაპზევე 80-100 ათასი სამუშაო ადგილის შექმნას, სახელმწიფო ბიუჯეტს – ყოველწლიურად 2,5 მილიარდი აშშ დოლარის ეკვივალენტის ჩარიცხვას და სხვა უამრავ სიკეთეს ჰპირდება. მთავრობას კი, იმის მაგივრად, რომ ამ საშვილიშვილო პროექტის ხორცშესხმაზე იზრუნოს, პირზე ბოქლომი დაუდვია და ვითომც, აქ არაფერი ხდებაო, გასაღების ბაზარს ვერ ვიპოვნითო!

არადა, ბოლოს და ბოლოს, სიმართლე ხომ უნდა ითქვას – რეალურია ეს პროექტი, თუ მირაჟია, ქვეყნისთვის მართლა სიკეთის მომტანია თუ არა?! ნუ გვავიწყდება ხალხური სიბრძნე: სიმართლე მეძებარი ძაღლივით არის და სადაც უნდა დაემალო, მაინც მოგძებნის. ცხადია, მას ვერც მეოცნებე ხელისუფალნი გაექცევიან.



ოთარ ხუციშვილი

უარი ანტიჰომოფობიური ბანერების განთავსებაზე

კომპანია „ალმამ“, რომელიც თბილისში სხვადასხვა ადგილას სარეკლამო ბანერებს ფლობს „თანასწორობის მოძრაობას“ 17 მაისის აღსანიშნავად თანასწორობის შინაარსის მესიჯების ბანერების გავრცელებაზე დისკრიმინაციული მოტივით უარი უთხრა – ინფორმაციას ამის შესახებ, მოძრაობა ავრცელებს.

კომპანიამ უარის მოტივად დაასახელა ის, რომ ჰომოფობიის საწინააღმდეგო და თანასწორობის შინაარსის შემცველი ბანერები გაზრდის ვანდალიზმის საფრთხეს და რისკის ქვეშ დააყენებს გაჩერებებზე მყოფი მგზავრების უსაფრთხოებას.

ხელშეკრულებით ასევე გათვალისწინებული იყო შემდეგი პირობა, რომ „თანასწორობის მოძრაობა“ იღებდა ვალდებულებას ბანერის მოპარვის ან დაზიანების შემთხვევაში მას უნდა აენაზღაურებინა ახალი სარეკლამო მასალის დაბეჭდვისა და მონტაჟის ღირებულება.

თბილისში ამოყირავებული მანქანების დემონტაჟი განხორციელდა

თბილისის ქუჩებში ამოყირავებული მანქანები მოხსნეს, რომელიც რამდენიმე კვირის წინ კამპანიის – „მეტი სიცოცხლისთვის!“ ფარგლებში დადგეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, კამპანიის „მეტი სიცოცხლისთვის“ პირველი ნაწილი დასრულდა, თუმცა სხვა აქტივობებით გაგრძელდება, როგორც თბილისში ისე რეგიონებში.

დიდი დოზის სიბრიყვე უწიგნურების ქვეყანაში

(პირველი გვერდიდან) შეკითხვის საპასუხოდ, რომ მიშას ყოველნაირი მეთოდებით უნდა საქართველოში დაბრუნება, სოსო ცინცაძე განმარტავს, **„ვის რა უნდა, ეს სხვაა და რეალობა სხვაა. რეალისტები ვიყოთ, ეს გამორიცხულია. ასე, მეც მინდა, ქოჩორი ამომივიდეს და 18 წლის ბიჭი გავხდე. გაერთიანებულ ოპოზიციაში ზოგიერთი ისეთი ადამიანიცაა, რომელსაც ცოცხალი მიშა არც უნახავს, მიშა მხოლოდ ტელევიზიით უნახავს. 8 წელი მცირე დრო არ არის, სულ სხვა თაობები წამოვიდა, სრულიად სხვა ფასეულობითა და ღირებულებით. „ნაცმოძრაობის“ ელექტორატის გარეშე არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვება ზღაპარია. ვინც დღეს იძახის, „ნაციონალების“ ელექტორატი არ გვჭირდებაო, ის „ოცნების“ გადაღებული წევრია. ამ მხრივ ყველაზე მეტად სოსო შატბერაშვილი აქტიურობს, ის ამბობს, მიშას წინააღმდეგი ვარ, მიშა არ მინდა, ამიტომ გაერთიანებული ოპოზიციის წინააღმდეგიც ვარო. ამავდროულად, შატბერაშვილი ამბობს, არც ბიძინას მომხრე ვარ, „ოცნებამ“ დაპირებები ვერ შეასრულა, სამართლიანობა ვერ დაამყარაო, ამიტომ შეუძლებელს ითხოვს, გამოჩნდეს ახალი ძალა და ის მოვიდეს ხელისუფლებაში. თუმცა შატბერაშვილმა განა არ იცის, რომ, ბოლოს და ბოლოს, 3-მილიონიანი ქვეყანა ვართ, ჩვენ არ ვართ უკრაინასავით 40-მილიონიანი, ჩვენი რესურსი თითზე ჩამოსათვლელი პარტიებია, ერთი-ორი პარტია და დამთავრდა, არ ჩანს მესამე ძალა და არც იქნება. რაც ვართ, ეს არის“,** — აცხადებს სოსო ცინცაძე.

მისი თქმით, ვერც იმ ფაქტს გავექცევით, რომ „ნაციონალების“ ელექტორატს, ქსენია დიასახლისებს მიშა მოსწონთ. ქსენია დიასახლისებმა თვითონაც არ იციან, რატომ უყვართ მიშა, უბრალოდ, უყვართ. ჩვენ ხომ აღარ ვართ ის ქვეყანა, 50 წლის წინათ რომ ვიყავით საბჭოთა კავშირში ინტელექტითა და კულტურით, დღეს ჩვენ უწიგნურების ქვეყანა ვართ. ამიტომ დღეს ჩვენს პოლიტიკურ ბაზარზე რომელი აქტორებიც გვევლინებიან, სწორედ მათ შორის უნდა გავაკეთოთ არჩევანი, სხვა გზა არ არის. პოლიტოლოგის განმარტებით, ყველა ადამიანს აქვს უფლება, ბიძინას, მიშას ან გრიშას მომხრე იყოს, ჩვენს ქვეყანაში პლურალიზმია, მაგრამ ადამიანები უნდა იყვნენ გულწრფელები.

„რაც შეეხება სააკაშვილის ჩამოსვლას, განვიხილოთ „ქართული ოცნებისთვის“ ყველაზე უარესი სცენარი, ვთქვათ, არჩევნებში გაიმარჯვეს მიშას მომხრეებმა. ამის შემდეგ ეს გამარჯვებული ძალა როგორ პოზიციას დაიკავებს მიშას მიმართ, ეს კიდევ დიდი კითხვის ნიშანია. მართალია, გრიგოლ ვაშაძე მიშას შეწყალებას და საქართველოში ჩამოყვანას აპირებდა, მაგრამ არ ვიცი, რამდენად გულწრფელი იყო ამ განცხადებაში. საბოლოოდ ყველაფერი ისევ ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. ამიტომ დღეს ნუ ვკამათობთ იმაზე, რაც ბუნდოვანია, ვილაპარაკოთ რეალობაზე, თუნდაც იმაზე, კორუფცია როგორ გაქრეს, ხალხი როგორ გაძღეს, ბავშვებს არ შიოდეთ. ეს არის მთავარი, რათა ხალხს „ოცნების“ ხელისუფლებაში დარჩენა ისევ მოუნდეს“.

ანალიტიკოს ვახტანგ მაისაიას მიაჩნია, რომ **თვით პოლიტიკაშიც კი ღირსებაა მთავარი და პოლიტიკური მიზნის მისაღწევად სულაც არ არის საჭირო სააკაშვილის მომხრეების გამოყენება. მისი აზრით, ღირსების საქმეა, რომ პოლიტიკოსი არ დადგეს ყველას გვერდით, არ დადგეს მათ გვერდით, ვინც გაზით წამლავდა საკუთარ მოსახლეობას და პოლიტიკურ ტერორს უწყობდა. სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება კი ნიშნავს იმას, რომ მის წინააღმდეგ ჩვენი საზოგადოება იარაღით გამოვა.**

ჩაიწერა
მანანა ნოზაძემ

საქართველო არაფერს არ კარგავს!

„ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით ტვირთების მოსაზიდად მიზანშეწონილია ყარსამდე საბჭოთა ლიანდაგის დაგება“

„ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით ტვირთების მოსაზიდად მიზანშეწონილია ყარსამდე საბჭოთა ლიანდაგის დაგება“ — ამის შესახებ „კომერსანტს“ სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრში განუცხადეს.

მათი ინფორმაციით, იმისათვის, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიზა დაიტვირთოს, აუცილებელია, საბჭოთა ლიანდაგი (1520 მმ) ყარსამდე მივიდეს.

„ძირითადი ტვირთნაკადი, რომელმაც უნდა დატვირთოს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, რუსეთის მარცვლეულია. მარცვლეულის მომხმარებელი თურქეთია, სადღეისოდ თურქეთის აღმოსავლეთ რეგიონში (სადაც განლაგებულია ყარსი) მარცვლეულის მიწოდება ხორციელდება, დასავლეთ თურქეთის ტერიტორიიდან, პრაქტიკულად რუსეთიდან თურქეთში შესული მარცვლეული აკეთებს „მარყუჟს“ თურქეთის აღმოსავლეთ რეგიონში მისატანად (ძვირდება სატრანსპორტო მდგენელი), რაც ხორბლის საბოოლოო ფასში აისახება.

რუსეთსა და თურქეთს შორის 400 ათასი ტონის გადაზიდვაზე არსებობს წინასწარი მოლაპარაკება. რუსეთმა 50% შეამცირა ტარიფი.“

მათივე ინფორმაციით, აღმოსავლეთ თურქეთის რეგიონისთვის ხორბლის წლიური მოხმარება 1.5 მლნ ტონას შეადგენს, გამომდინარე იქიდან, რომ თურქეთმა შეძლოს ხორბლის მარაგების პერმანენტული შევსება (გაეროს დებულებით — ქვეყნის მარაგი უნდა შეადგენდეს მოხმარებული ხორბლის 12% ს), გარდა ამისა, არ იქნეს დარღვეული დისპროპორცია ქვეყნის მსხვილ რეგიონებში ხორბლის მარაგების განთავსების და შემდგომი გავრცელებისთვის, თურქეთი — მის აღმოსავლეთ რეგიონში — ყარსში აშენებს მსხვილ ლოგისტიკურ ცენტრს, ძირითადად, ხორბლის ელევატორებს, შენახვის, დაფქვის და მცირე პარტიებად დისტრიბუციის მიზნით.

ამ სტრატეგიული ამოცანის განსახორციელებლად მას მოკლე, იაფი და სწრაფი სატრანსპორტო არტერია ესაჭიროება, ბაქო-თბილისი-ყარსის მონაკვეთზე, საბჭოთა ლიანდაგი მოდის ახალქალაქამდე, აქ გათვალისწინებულია ურიკების შეცვლა და შემდგომ ევროპული ლიანდაგით გრძელდება ყარსამდე. დღეისთვის მხოლოდ კონტეინერის ამწვევი ფუნქციონირებს, რომელიც ტვირთს ერთი ვაგონიდან მეორეში გადადგმას, ეს სქემა ხორბლის ვითარებაში არ გამოდგება, რადგანაც ტექნოლოგიურად ხორბალმზიდი აწევას არ ექვემდებარება, საჭიროა ურიკების შეცვლა.

ცენტრის განმარტებით, ურიკების შეცვლის პირობებში, ერთი ვაგონის ურიკის შეცვლა 200 დოლარია, უკანა გზაზეც აუცილებელი იქნება ცარიელი ხორბალმზიდისთვის ურიკების შეცვლა, ჯამში მარტო ურიკების შეცვლა 400 დოლარი დაჯდება, ამას ემატება საშუალო 2-4 დღე ოპერაციების შესასრულებლად.

„იმ ვითარებაში თუ თურქეთი და რუსეთი ევროპულის პარალელურად, საბჭოთა ლიანდაგის დაგებას შეძლებენ ახალქალაქიდან — ყარსამდე, მაშინ თურქეთი ხორბლის ტრანსპორტირებას ორმაგი ურიკების შეეცვლის გარეშე შეძლებს, რაც პროდუქციის ღირებულებას შეამცირებს, ხორბალს მიიღებს ყარსში დაცლის ელევატორში — შეინახავს და აღმოსავლეთ რეგიონში საავტომობილო ტრანსპორტით მცირე პარტიებით დისტრიბუციას მოახდენს (მსოფლიოში მიღებულია ხორბლის ქვეყნის შიგნით საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვა), პარალელურად ხორბლის მარაგების პერმანენტულ კონტროლსაც განახორციელებს, რაც ფასის დაჭერის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია.

ანალოგიურად შეუძლია თურქეთს ქიმიური ტვირთების მოზიდვაც.

ასეთ პირობებში საქართველო კარგავს ირიბად, ახალქალაქში ურიკების შეცვლის შედეგად მიღებულ შემოსავალს, მაგრამ ამას ახალქალაქიდან — თურქეთის საზღვრამდე საკუთარი ელმავლების ან ვაგონების გამოყენებით აკომპენსირებს.

საქართველო არაფერს არ კარგავს, მას პარალელურად ევროპული ლიანდაგიც ეძნება, რომლის მეშვეობითაც ევროპის მასშტაბით ტვირთების დაუბრკოლებლად გაგზავნას და მიღებას შეძლებს.

◎ ჩანაწერი

დამოუკიდებლობა

ვუძღვნი ჩემს მეგობარს აჩიკო გოგელიას



ახლახანს მეგობრის წყალობით ხელთ ჩამივარდა **მიხეილ ჯავახიშვილის** წიგნი **„უბის წიგნაკიდან“** (თბილისი, 2015), სადაც მწერლის ფრიად საგულისხმო სიტყვებს წავაწყდი: **„მთელი ჩვენი ისტორია გვიმტკიცებს, რომ ქართული ენერგია აფეთქებით თავდებოდა, ხანგრძლივობა არა გვყოფნიდა (დაღლილი ერი ვართ). თითქმის ყველა ომი ასე თავდებოდა: ბრძოლაში თუ გავიმარჯვებდით, ცოტა ხანს გავყვებოდით მტერს და მეორე დღესვე გამოვწევდით შინისკენ. ეს იყო თარეში, რბევა, პარტიზანობა და არა ფართოდ დასახული საომარი მოქმედება. ასეთი ერი მკვიდრ სახელმწიფოს ვერ ააშენებდა და აკი ვერც ავაშენეთ“.**

სიტყვა **„მკვიდრი“** ნიშნავს მტკიცეს, ურყევს. მისი საპირისპიროა მერყევი, არამტკიცე. თუკი მკვიდრს, ურყევს შევცვლით **დამოუკიდებლობით,** ხოლო მერყევს, არამტკიცეს — **დამოკიდებულებაში ყოფნით,** მაშინ, მიხეილ ჯავახიშვილის კვალდაკვალ სრული უფლება გვაქვს, განვაცხადოთ, რომ საქართველო მთელი 30 წლის განმავლობაში, ყველა პრეზიდენტის ბატონობის პერიოდში, დამოუკიდებელი არ ყოფილა. სახელმწიფო შეიძლება იყოს აღიარებული საერთაშორისო სამართლის სუბიექტად და ჰქონდეს დამოუკიდებლობის სტატუსი, მაგრამ ვერ შესწევდეს შესაბამისი ფუნქციების აღსრულების უნარი. ახლა სიტყვა **„დამოუკიდებლობას“** თუ შევცვლით **„დამოკიდებულებით“,** უნდა ვაღიაროთ, რომ დიდ ქვეყნებზე დამოკიდებულება საქართველოსთვის ოდითგანვე სახიფათო და დიდი რისკის მქონე იყო. ასეა დღესაც. მაგალითების მოყვანას საჭიროდ არ მივიჩნევ — ისინი ყველასთვის (გონიერთათვის) თვალშისაცემია. დამოკიდებულება პატარა ერის ტრაგედიაა, საქართველოს ტრაგედიაა.

სიტყვა **„დამოკიდებულება“,** გარდა სახელმწიფოებრივი, ერის სულიერი ნების დამთრგუნველი მნიშვნელობისა, სხვა, ძალზე ცუდი შინაარსის მატარებელია. მაგალითები: წამალზე ვარ დამოკიდებული; დამოკიდებული ვარ ტერორისტის ნება-სურვილზე, ან, უფრო გასაგებად ჩვენი დღევანდელი ცხოვრებიდან: **დამოკიდებულები ვართ პათოლოგიური პრეზიდენტყოფილის მანიაკურ ნდომებზე** („ნაც. მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“), მაგრამ, რის ქართველები ვართ, აქვე თუ არ ჩავრთე დამოკიდებულების დადებითი გაგება, კერძოდ, რაინდული დამოკიდებულება: დამოკიდებული ვარ ულამაზესი ქალის თვალთა გამოხედვაზე (მახლას!).

მართალია, **„მკვიდრი სახელმწიფო“** ვერ ავაშენეთ, აქ სხვა ჭირმაც იჩინა თავი, რაც კარგად გამოხატა **ტომას სტერნზ ელიოტმა** წერილში **„რელიგია და ლიტერატურა“: „ჩვენს მორალში არსებობს ერთადერთი კრიტერიუმი ყოველი ზნეობრივი პრობლემის: რამდენად ავიწროებს ან კრძალავს ის ინდივიდუუმის მსახურებას სახელმწიფოსთვის. ინდივიდუუმმა უნდა უპასუხოს კითხვას: ეს მოქმედება აყენებს ზიანს ნაციას? აყენებს ის ზიანს ნაციის სხვა წევრებს? აყენებს ის ზიანს ჩემს უნარს, რომ ვემსახურო ნაციას? და თუკი პასუხი მთელ ამ კითხვებზე იქნება მკაფიო, ინდივიდუუმს ენიჭება სრული თავისუფლება, იმოქმედოს თავისი ნების შესაბამისად“.** ელიოტი იქვე აგრძელებს: **„ცხადია, არ უარვყოფ, რომ ესეც თავისებური მორალია და მას, გარკვეულ საზღვრებში, დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია; მაგრამ ვფიქრობ, რომ ყველა ჩვენგანმა უნდა უარყოს ასეთი მორალი, რომელსაც, გარდა აღნიშნულისა, არ ძალუძს ჩვენ წინაშე უფრო მაღალი იდეალის დასახვა“.**

ეს **„უფრო მაღალი იდეალი“** ქრისტიანობაა, მაგრამ მიღებული დიდი სერიოზულობით, რომლისკენაც ასე ისწრაფვოდა **სიორენ კირკეგორი.**

კეთილი და პატიოსანი. მაგრამ მკითხველმა სამართლიანად შეიძლება, იკითხოს: **სად არის გამოსავალი ამ კონკრეტულ ვითარებაში?**

როდესაც ქვეყანაში ორი პარტიის სასიკვდილო დაპირისპირებაა, როდესაც ერთი პარტია (ნაციონალები) საქართველოს დამღუპველ ძალას წარმოადგენს, ხოლო მეორე პარტია („ქოცები“) სხვადასხვა მოსაზრების გამო არცთუ სწორ გადაწყვეტილებებს იღებს — საჭიროა დიქტატურის შემოღება. ამ აზრისაა ბევრი თანამედროვე სახელმწიფოთმცოდნე ფილოსოფოსი.

ვიქტორ რცხილაძე

ქართული სიტყვის, სიმღერისა და თამადობის გერმუხა

„ასაკი რა მოსატანია, როცა ეს მხნე და უშიშარი ვაჟკაცი დღესაც ხარივით მომთმენი და გამწევია. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული გელა ქოქიაშვილი სწორედ ხარივით ეწევა ცხოვრების ჭაპანს და უფლის ნებით ვიდრე საუკუნის არ გახდება, ხმალს ქარქაშში არ ჩააგებს, სიმღერას არ უღალატებს, კალამს არ მოადუნებს და მკითხველს შესანიშნავი ნარკვევებით, გამოჩენილ ხელოვან ადამიანებზე შექმნილი წიგნებით გაახარებს“.

ეს გახლავთ ამონარიდი კულტურის დამსახურებული მოღვაწის, ცნობილი მომღერლის, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ქართული კულტურის ამაგდარის, შესანიშნავი პუბლიცისტისა და მწერლის გელა ქოქიაშვილის სულ ახლახან გამოცემული წიგნის **„ნუმც მოიშლება ხსენება მათი...“** წინასიტყვაობიდან, რომელიც საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს **სპარტაკ ქობულიას** ეკუთვნის. ბატონი სპარტაკი თავადვე გახლავთ ამ მეტად შესანიშნავი წიგნის რედაქტორიც და გასაკვირიც არაა, რადგან წიგნში გაერთიანებული 53 პუბლიცისტური წერილი, რომლებიც ქართველ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებს ეხებათ მუსიკის სფეროში, სწორედ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა და წიგნად აკინძვამდე აქ აჭაშნიკებდა არა მარტო ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი, არამედ ბატონი გელას შემოქმედების მრავალათასიანი თაყვანისმცემელი.

„ასაკი რა მოსატანიაო...“ — ბრძანებს წიგნის რედაქტორი და მართალიცაა, ვინც ამ მხნე, ენერგიულ, დაუღალავ, სიკეთის მფრქვეველ ადამიანს იცნობს, რომელიც კახური ტრადიციების მატარებლად და პირდაპირობის ეტალონად დამკვიდრდა, არა მგონია, არ გაიკვირვოს, ნუთუ ეს ჩვენი „ვაქირელი ძმა“ 80 წლის შესრულდაო? სწორედაც ასე გახლავთ.

თუ ბატონი გელას ცხოვრებისა და შემოქმედების გზას გადავხედავთ, მისი აღწერა ერთ ადამიანს უცილობლად გაუჭირდება, რადგან ძნელია, ისეთ უნიკალურ პიროვნებაზე წერო, ისეთი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი სრულყოფილად შეაფასო, თუ მის პროფესიასთან სულ მცირედი შეხება არა გაქვს. ამიტომაც იყო, წიგნით, პუბლიცისტიკითა და ჟურნალისტობა-მწერლობით რომ დავიწყეთ, რაც ჩვენს პროფესიასთან აგრერიგად ახლოსაა და ბატონი გელაც ჩვენ, ჟურნალისტებსა და მწერლებს, ჩვენი საძმოს წევრად და ერთგულ პიროვნებად მიგვაჩნია. ამის ნათელი მაგალითია უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული გელა ქოქიაშვილის მონოგრაფიები (ასევე წიგნებად გამოცემული) მსოფლიოში აღიარებულ მომღერლებზე — ენრიკო კარუზო, ტიტა რუფო, თევდორე შალიაპინი, ლუჩანო პავაროტი, პლასიდო დომინგო, წერილის დასაწყისში მოხსენებული წიგნი ქართველ მუსიკოსებზე, უშესანიშნავესი წიგნი საქართველოს ბულბულზე, ლეგენდარულ ვანო სარაჯიშვილზე. ბატონი გელა ხომ „ვანოობის“ სახალხო დღესასწაულის ერთ-ერთ დამაარსებლად და ყოველწლიურად მისი მოწყობის ორგანიზატორად ითვლება. გასაკვირი არცაა, რომ ჟურნალისტთა და მწერალთა შემოქმედებით კავშირებს გამორჩენოდათ ეს საიუბილეო წელი და მეტად თბილი ადრესები არ გაეგზავნათ იუბილარისთვის. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა კი გელა ქოქიაშვილის უამრავ, მართლაც დამსახურებულად მინიჭებულ ტიტულებსა და პრემიებს კიდევ ერთი შეჰმატა — **ქართული კულტურის ამაგდარის** წოდება.



სიღნაღში „ვანოობაზე“. 1971 წ.

„ჩემი წინაპრების უმეტესობა საეკლესიო მსახურებას მისდევდაო“, — ბრძანებს თავის ავტობიოგრაფიულ მოგონებაში ბატონი გელა. სწორედ ამ გენებიდან მოდის მისი თვითნაბადი მუსიკალურობა, პედაგოგიური მოღვაწეობაც. მეოცე საუკუნის დასაწყისში პაპამისი დავით ქოქიაშვილი სიღნაღის მაზრის სოფელ მაშნაარის ყოვლადწმინდა სამების ეკლესიის წინამძღვრად გადმოუყვანიათ ბორჩალოს მაზრის ეკლესიიდან და პარალელურად, სოფლის სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგედაც დაუნიშნავთ. შემდეგ ვაქირში დასახლებულა. მეტად პატივსაცემი და დამსახურებული პიროვნება ყოფილა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი და იმ დროის ქართველ ინტელიგენტთა და საზოგადო მოღვაწეთა გვერდში მდგომი და თანამებრძოლი. თავის დროზე გელას პაპა სანდრო კავსაძის გუნდშიც ირიცხებოდა და ვანო სარაჯიშვილთან ერთადაც მღეროდა. შესანიშნავი ტენორი ყოფილა და სწორედ მისმა გენებმა გაიღვიძა მის შვილიშვილში. მღეროდნენ ბატონი გელას მშობლები და დებიც, რომლებმაც შემდგომში კონსერვატორია დაამთავრეს.

მკითხველისთვის საინტერესო იქნება იმის გახსენება, რომ დავით ქოქიაშვილის ოჯახში ხშირად სტუმრობდა ვაჟა-ფშაველა, მისი პურ-მარილისა და სტუმარ-მასპინძლობის დიდი დამფასებელიც ყოფილა და ვაქირში ჩასული, შინ დავითის უნახავად არ ბრუნდებოდა. 1910 წელს ციმბირში გადასახლებიდან გამოპარული იოსებ ჯუღაშვილი მთელი თვე იმალებოდა ქოქიაშვილების სახლში, როგორც სანდო და ერთგულ ადამიანთან. დავითის ხშირი სტუმარი ყოფილა ვანო სარაჯიშვილიც, რომელსაც ქოქიაშვილების ეზოში საუკუნოვან აკაკის ხეზე ასულს ალაზნის ველისთვის „ურმული“ უმღერია.

ეს ლიტერატურულ-ისტორიული გადახვევა იმიტომ მოვიტანე, რომ სწორედ ამ გარემოში, ამ ტრადიციულ სტუმარ-თმოყვარე ოჯახში 80 წლის წინათ დაიბადა გელა ქოქიაშვილი და იმ გარემოს მადლი და მარილი დღემდე მოჰყვება. თხუთმეტი წლისა ყოფილა, როცა ვაქირის კულტურის სახლში ჩასულს დიდი ვასო გოძიაშვილისთვის პოპულარული სკეტჩების წაყვანისას, თავისი აკორდეონით აკომპანემენტი გაუწევია.

მიუხედავად მუსიკალური ნიჭისა და გატაცებისა, გელა ქოქიაშვილი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე აგრძელებს. ბევრმა როდი იცის, რომ ჩვენი სახელოვანი მომღერალი წლების მანძილზე კვების მრეწველობის სამინისტროში წამყვან თანამდებობებზე მუშაობდა. 1988 წელს დაიცვა დისერტაცია წარმოების ეფექტურობის ამაღლების გზებზე, მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, გახლავთ ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

მიუხედავად არჩეული პროფესიისა და წარმატებული კარიერისა, გელა ქოქიაშვილში არასოდეს ჩანავლებულა მუსიკისა და სიმღერის გენი. თბილისში გადმოსვლის შემდეგ, გასული საუკუნის 60-იან წლებში, იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამართულ კონცერტებში თბილისის ტრამვაიტროლეიბუსების სამმართველოს სახელმწიფო ანსამბლთან ერთად ღებულობდა მონაწილეობას, სოლო პარტიებით მიუღია მონაწილეობა საბჭოეთის დედაქალაქში. 1965-70 წლებში თბილისის კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის სტუდენტია პროფესორ დავით ანდღულაძის კლასში. გახდა ვოკალისტთა კონკურსის ლაურეატი, გაიმარჯვა „ლა სკალაში“ სტაჟირებაზე გასაგზავნ საკავშირო კონკურსში. მისი რეპერტუარი ქართველი, დასავლეთ ევროპული, იტალიელი და რუსი კომპოზიტორების ნაწარმოებებისგან შედგება. 1980 წელს მიენიჭა კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება. იმავე წელს გამოდის გელა ქოქიაშვილის გიგანტი გრამფირფიტა, რომელშიც შესულია ქართველ კომპოზიტორთა რომანსები და სიმღერები. გამოდის კომპაქტდისკი იტალიური და ნეაპოლიტანური სიმღერებისა (სულ 27 ნაწარმოები). 1999 წელს ქართული კულტურის განვითარება-პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“.

ბატონი გელას კიდევ ერთი გატაცება გახლავთ ქართული სუფრის ტრადიციების კვლევა და პოპულარიზაცია. მან უამრავი ეთნოგრაფიული მასალა, მოგონებები შეკრიბა და გამოსცა მეტად საჭირო და პოპულარული წიგნი „სუფრავ გაშლილო — ლხინი ხარ“, რომელიც რუსულ ენაზეცაა გამოცემული. ტრადიციულ, ქართულ ოჯახში აღზრდილი კაცისთვის ეს დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ იგი თავადაც უბადლო თამადა და სუფრის სული და გული გახლავთ.

მართლაც ბევრია ერთი რიგითი ქართველისთვის ამგვარი თავდადება, სიყვარული და პროფესიონალიზმი სხვადასხვა სფეროში... ძნელია, რადგან ბატონი გელა ყველგან ბოლომდე იღვწის, იგი სრულყოფილებისა და პროფესიონალიზმის მაგალითია.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მთელი სულითა და გულით ვულოცავთ ღირსეულ, ამაგდარ ადამიანს გელა ქოქიაშვილს 80 წლის იუბილეს. ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და კიდევ მრავალი სასიკეთო საქმის კეთებას ვუსურვებთ!

გეგმები კი, როგორც თავად ბრძანებს, ძალზე ბევრი აქვს, ადვილი ხომ არ არის, ჩვეული ერთგულებით ემსახურო ქვეყნის კულტურას და სულიერ სფეროს.

იხარეთ და იდღეგრძელეთ, ბატონო გელა!!!

მამუკა ვაშაკიძე

„ლექსად თქმული საქართველო“

დუბლინში საქართველოს საელჩოში გაიმართა პოეზიის საღამო „ლექსად თქმული საქართველო“, რომლის ფარგლებშიც მოწვეულ სტუმრებს და დიასპორის წარმომადგენლებს პოეზიის ნიმუშები და ასევე საკუთარი შემოქმედება წარუდგინეს თამარა სამქანაშვილმა, დავით ჯოხაძემ, რუსუდან ბენდელიანმა და მაკა შავერდაშვილმა. ასევე გაიმართა დისკუსია ქართული ლიტერატურის ისტორიის მნიშვნელობასა და პოტენციალზე.

ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა საქართველოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ირლანდიის რესპუბლიკაში გიორგი ზურაბიშვილმა და ხაზი გაუსვა ქართული კულტურის, ლიტერატურისა და პოეზიის უძველეს ტრადიციებსა და მნიშვნელობას. გიორგი ზურაბიშვილმა ასევე მადლობა გადაუხადა ქართული დიასპორის წარმომადგენლებს საქართველოს იმიჯისა და კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი მნიშნელოვანი წვლილისთვის და ამ კუთხით კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობისათვის მზადყოფნა გამოთქვა.

გამოუშვეს შერლოკ ჰოლმსის საკოლექციო მონეტა

დიდი ბრიტანეთის სამეფოს მონეტარულმა სახლმა მწერალ არტურ კონან დოილის 160 წლისთავთან დაკავშირებით საკოლექციო მონეტა გაოუშვა.

BBC-ის ცნობით, მონეტაზე მისი ცნობილი ნაწარმოების გმირი შერლოკ ჰოლმსია გამოსახული. მონეტის ნომინალია — 50 პენსი. მონეტის დიზაინის ავტორია სტივენ პო.

მონეტა სხვადასხვა შენადნობისგან არის დამზადებული. ფასი 10 ფუნტიდან იწყება. ოქროს მონეტის ფასია 795 ფუნტი.

გამოცემის ინფორმაციით შერლოკ ჰოლმსის მონეტის მთელი ტირაჟი უკვე დარეზერვებულია.

ტელეკომპანია BBC-მ 2017 წელს თავისი სერიალების ყველაზე პოპულარული პერსონაჟებს შორის გამოკითხვა ჩაატარა. ლიდერული პოზიცია, 29%-ით სერიალ Sherlock-ის მთავარმა პერსონაჟმა დაიკავა.

ვინ იყო ყველა დროისა და ყველა ხალხის უდიდესი მაძებრის შემქმნელი?

გაიცანით, თქვენ წინაშეა მისტერ შერლოკ ჰოლმსი – მაძებარი, ფილოსოფოსი და ნამდვილი გენიოსი! ეს ჰოლმსის თავგადასავლიდან ამონარიდთა კრებული მკითხველს აცნობს ინგლისური სიტყვაკაზმული მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელგანთქმული პერსონაჟის აფორიზმებსა და ცხოვრებაზე თვალხმიერ დაკვირვებებს. წაიკითხავთ თუ არა, რას ამბობდა შერლოკ ჰოლმსი, უმალ წამოგაგონდებათ ფრაზა: „ელემენტარული ამბავია, ძვირფასო ვატსონ!“ და თქვენ წინ გაცოცხლდება სიბრძნის, იუმორის და, რასაკვირველია, კერძო ძებნა-ძიების მთელი სამყარო! ხოლო **ართურ იგნატიუს კონან დოილის** (1859-1930) შემოქმედების ერთგულ თაყვანისმცემელთათვის ეს კრებული ნამდვილ საჩუქრად იქცევა და აიძულებს, რომ კვლავ განიცადოს საყვარელ წიგნთა ყოვლის უფრო მკაფიო მომენტები.

ართურ იგნატიუს კონან დოილი შოტლანდიის თავქალაქ ედინბურგში მოევლინა ამ ქვეყანას. მამამისმა ჩარლზ ოლტემონტ დოილმა, მხატვარმა და ფილოსოფოსმა, 1855 წელს ცოლად შეირთო მერი ფოლი. თვითონ მწერალი ამბობდა, მამაჩემი ნიჭიერი მხატვარი კი იყო, ოღონდ ხშირად სვამდა, და ამიტომ ჩვენს ოჯახს არცთუ იშვიათად უჭირდაო. ართურის დედას ამქვეყნად ყველაზე მეტად წიგნები ჰყვარებია. საღამოობით მთელ ოჯახს საოცარ ამბებს გვიყვებოდა ხოლმეო. და სწორედ ამ საღამოებს იგონებდა შემდგომ მწერალი დიდი სითბოთი. ბავშვობაში ართური ბევრს კითხულობდა. პატარა ართურის სასკოლო ცხოვრებამ გოლდერის მოსამზადებელ სასწავლებელში გაიარა, ხოლო ცხრა წლისა რომ გახდა, შეძლებულმა მშობლებმა სტონიჰერსტის ძვირად ღირებულ იეზუიტურ კოლეჯში გადაიყვანეს. იქ შვიდ საგანს ასწავლიდნენ: ანბანს, ანგარიშს, ძირითად წესებს, გრამატიკას, სინტაქსს, პოეზიას, რიტორიკას. კვება საკმაოდ მწირი იყო, ფიზიკური დაღლა კი საკმაოდ სასტიკი.

კოლეჯში სწავლისას ართური მიხვდა, რომ თავშესაქცევი ამბების შეთხზვა ეიოლებოდა. იმის გარშემო ხშირად იკრიბებოდნენ სტუდენტები და ყურგაფაციცებულნი ისმენდნენ იმის მონაყოლს. ართური მათემატიკას ვერ იტანდა და თვალში არ მოსდიოდნენ მორიარტის გვარის ძმები (შერლოკ ჰოლმსის მთავარი მეტოქეც აკი პროფესორი მორიარტია!).

1878 წელს მან გაასრულა კოლეჯში სწავლა და ედინბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. უნივერსიტეტში სწავლისას ართური ხვდებოდა მომავალ სახელდიდ მწერლებს – ჯეიმს ბარის და რობერტ ლუის სტივენსონს, რომლებიც აგრეთვე ესწრებოდნენ ლექციებს ამ უნივერსიტეტში, მაგრამ ყველაზე დიდი ზეგავლენა ართურ იგნატიუსზე პროფესორმა ჯოზეფ ბელმა მოახდინა, რომელიც დაკვირვების, ლოგიკის, დასკვნებისა და შეცდომების აღმოჩენის უნარით იყო ბუნებისგან დაჯილდოებული. მომავალში ჯოზეფ ბელის ბევრი ნიშან-თვისება საფუძვლად დაედება შერლოკ ჰოლმსის იერსახეს.

ჩარლზ დოილი ფსიქიატრიულში მოათავსეს, ართური, უმარჩენალოდ დარჩენილი, ოჯახის დახმარებასაც ცდილობდა. თან სწავლობდა, თან მუშაობდა, ხან აფთიაქარი იყო, ხან ექიმის თანაშემწე.

უნივერსიტეტში შესვლიდან ორი წლის შემდეგ დოილმა კალამს მოუსინჯა კბილი. 1879 წლის გაზაფხულზე იგი წერს პატარა მოთხრობას – „სესასის ველის საიდუმლოებას“, რომელსაც ერთ-ერთ ჟურნალში აქვეყნებს. მოთხრობა დიდი შემცირებებით დაიბეჭდა, რამაც, ცხადია, გაანაწყენა ართური, მაგრამ ჰონორარად მიღებულმა სამმა გინეიმ წერაზე ხელი არ ააღებინა, პირიქით, უფრო მეტად შთაგონებულმა განაგრძო წერა. მალე მან გამომცემლობაში რამდენიმე მოთხრობა გაგზავნა. მაგრამ მხოლოდ ერთი დაუბეჭდეს – „ამერიკული ისტორია“ ჟურნალ „London Society“-ში. ართურს გული მაინც არ გასტეხია, რახან გაიგო, რომ ფულის შოვნა ამ გზითაც შეიძლებოდა.

1880 წელს ერთ-ერთი მეგობრის რჩევით იგი „იმედად“ სახელდებულ ვეშაპთმხოცავ გემზე მოეწყო ექიმად, რომელი გემიც ჩრდილოეთ პოლარული წრისკენ მიემართებოდა. მან გემზე 7 თვე დაყო, დაახლოებით 50 ფუნტი იშოვა და ისევ უნივერსიტეტს დაუბრუნდა.

1881 წელს ართურმა მედიცინის ბაკალავრისა და ქირურგიის მაგისტრის წოდებით ედინბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა და სამუშაოს ძებნა დაიწყო.

მალე ახლა „Mayuba“-დ სახელდებულ გემზე მოეწყო ექიმად. ის გემი ლივერპულსა და აფრიკის დასავლეთ სანაპიროს შორის დადიოდა.

ართურს აფრიკა არ მოეწონა და სამ თვეში მიატოვა გემი. ნახევარი წელიწადი იგი თავის ერთ თანაკურსელთთან ერთად პლიმუტში მუშაობდა, მერე გადავიდა პორტსმუტში, სადაც თავის პირველ პრაქტიკას მიჰყო ხელი.

კლიენტურა მაინცდამაინც არ მისწყდომია ახალგაზრდა ექიმს და დოილმა მთელი დრო კალამს დაუთმო. ზედიზედ დაიბეჭდა მოთხრობები: „საპირველაპრილო ხუმრობა“; „ბლუმენს დაიქსის ხევი“; „მკვლელი, ჩემი მეგობარი“.

შემდგომ წლებში დოილი მწერლობასა და მედიცინას შორის ცხრად იყო გაჭრილი.

1885 წელს ართურმა გაიცნო ლუიზა ხოკინსი და მალე ცოლადაც შეირთო. დაოჯახების შემდგომ დოილმა მწერლობის თავის პროფესიად გახდომა გადაწყვიტა. ჟურნალმა „Cornhill“ ერთმანეთის მიყოლებით დაბეჭდა ართურის მოთხრობები: „ხებეკუკ ჯეფსონის შეტყობინება“; „ხარვეზი ჯონ ჰექსფორდის ცხოვრებაში“; „თოთის ბეჭედი“. მაგრამ დოილს უნდა, რომ ლიტერატურის სამყაროში თვალი შეესწროთ, ამისთვის კი საჭირო იყო მართლაც ღირსეული რამის შექმნა და 1884 წელს იგი წერს წიგნს სახელწოდებით „გერდლსტონის სავაჭრო სახლი“, რომელმაც ახალგაზრდა ავტორის სამწუხაროდ, გამომცემელნი არ დააგულისყურა.

1886 წელს კონან დოილმა დაიწყო რომანის წერა, რომელმა რომანმაც ფართოდ ცნობილი გახადა იგი. მთელი ორი წელიწადი ავტორი ცდილობდა, რომ თავისი „პირმშო“ როგორმე კეთილი თვალით დაენახათ გამომცემელთ და ბოლოს და ბოლოს წიგნი დაიბეჭდა ბიტონის 1887 წლის საშობაო წელიწდეულში სახელწოდებით „მეწამულელფერიანი ეტიუდი“. მკითხველი პირველად სწორედ აქ ეცნობა შერლოკ ჰოლმსსა და დოქტორ ვატსონს (ჯონ ვატსონის პირველსახედ ხშირად თვით კონან დოილს მიიჩნევენ, მაგრამ თვითონ ავტორი თავის მემუარებში ამტკიცებს, რომ ის კი არა, ვატსონის პირველსახე მაიორი ვუდია, რომელიც კონან დოილის მდივანი იყო მთელი 40 წელიწადი), რომელნიც მალე მთელ მსოფლიოში გახდნენ ცნობილნი.

რომანი ცალკე გამოიცა 1888 წლის დამდეგს, დასურათხატებული იყო დოილის მამის – ჩარლზ დოილის მიერ.

ის იყო „მეწამულელფერიანი ეტიუდი“ დაამთავრა, რომ ართური ახალი წიგნის წერას შეუდგა და 1888 წლის თებერვლის ბოლოს დაამთავრა „მიხეი კლარკის თავგადასავალი“, რომელიც ერთი წლის შემდეგ გამოიცა.

დოილს მოულოდნელად სადილზე იწვევს ამერიკული „ლიპინკოტს მეგეზინის“ რედაქტორი, რათა ერთად განეხილათ შერლოკ ჰოლმსზე კიდევ ერთი მოთხრობის დაწერის ამბავი. ამ შეხვედრაზე დოილი გაეცნო ოსკარ უაილდს.

დოილი ეთანხმება წინადადებას და 1890 წელს „ლიპინკოტს მეგეზინის“ ამერიკულ და ინგლისურ გამოცემებში იბეჭდება „ოთხთა ნიშანი“.

მოგვიანებით იგი წერს მოკლე მოთხრობებს შერლოკ ჰოლმსზე ჟურნალ „სტრენდისთვის“. მხატვარ სიდნი პეიჯტის დახმარებით იქმნება ჰოლმსის გარეგნული იერსახე.

1891 წელს დოილი გრიპმა რამდენიმე დღე სიკვდილის პირას ამყოფა. გამოჯანმრთელებულმა გადაწყვიტა სამედიცინო პრაქტიკის მიტოვება და მწერლობის უღელი დაიდგა.

1891 წლისთვის დოილი დაუჯერებლად ფართოდ ცნობილი გახდა შერლოკ ჰოლმსზე მეექვსე მოთხრობის – „ტუჩდამანჭული კაცის“ წყალობით. 1891 წლის ოქტომბერში „სტრენდის“ რედაქტორმა კიდევ ექვსი მოთხრობა მოსთხოვა, ის ავტორის ყოველგვარ პირობებზე იყო თანახმა. დოილმა, რომელსაც გვარიანად მოაბეზრა თავი თავისმა პერსონაჟმა, წარმოუდგენელი თანხა (როგორც თავად ეგონა) მოითხოვა – 50 ფუნტი და გაკვირვებული დარჩა, როცა ამ თანხაზეც თანხმობა მიიღო. იმ დროისთვის დოილი უკვე საბოლოოდ დაიღალა თავისი გმირისგან. თანაც კიდევ ოცნებად ჰქონდა გადაქცეული, რომ ისტორიული რომანების ავტორად დარჩენილიყო მკითხველისთვის და არა თავშესაქცევი დეტექტივების ავტორად. ამიტომ, როცა 1893 წელს დოილი ცოლითურთ დასასვენებლად მიდის შვეიცარიაში და რეიჰენბახის ჩანჩქერს მოინახულებს, რატომღაც იქ მტკიცედ გადაწყვეტს, რომ ზურგი აქციოს ამ თავმომაბეზრებელ გმირს. თუმცა მარტო ავტორის გადაწყვეტილება საკმარისი არ აღმოჩნდა – აღშფოთებულ მკითხველთა ათასობით წერილმა (ლეგენდის თანახმად, თვით დედოფალმა ვიქტორიამ) აიძულა დოილი შერლოკ ჰოლმსის გაცოცხლება.

1902 წელს დოილი ასრულებს სახელგავარდნილი მაძებრის თავგადასავლის კიდევ ერთ მოთხრობას – „ბასკერვილების ძაღლს“. და თუმცა მოგვიანებით მწერალმა არაერთი საყურადღებო ნაწარმოები შექმნა („ბრიგადირ ჟერარის გმირობანი“, „დუეტი შემთხვევით ქოროსთან ერთად“, სამეცნიერო-ფანტასტიკური „გადაკარგული ქვეყანა“, „მოწამლული ზოსტერი“), ნამდვილი დიდება და მკითხველთა მხურვალე სიყვარული მაინც ბეიკერ-სტრიტზე მცხოვრებმა შერლოკ ჰოლმსმა მოუტანა – სახელგავარდნილმა მაძებარმა – ანალიტიკოსმა და ფილოსოფოსმა, მევიოლინემ და ჩიბუხის მწეველმა.

ახლა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ თვითონ დეტექტივზე. ართურ კონან დოილი არსად არ ახსენებს, სად და როდის დაიბადა შერლოკ ჰოლმსი. ყურადღებიან მკითხველთ, რომელთაც არ დაზარებიათ მაძებარზე დაწერილი სხვადასხვა მოთხრობებიდან ცალკეული ფაქტების შეჯერება, შეძლეს ჰოლმსის დამბადების თარიღის დაახლოებით გამოთვლა – 1854 წელი.

ცნობილია, რომ შერლოკ ჰოლმსს ჰყავდა უფროსი ძმა, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა. სხვა არცრა რამეა ცნობილი ჰოლმსის ოჯახზე.

1881 წელს შერლოკს არცთუ კარგად მისდიოდა საქმე, თანაც იმდენად, რომ მეზობლის ძებნა მოუხდა ბინის დასაქირავებლად ბეიკერ-სტრიტზე. ასე გაიცნო მან ახალგაზრდა ექიმი ჯონ ვატსონი. მერე ნელ-ნელა ჰოლმსის ფინანსური მდგომარეობა შედარებით გამომჯობინდა, ამიტომ იმათი ერთად ცხოვრება უკვე განპირობებული იყო მხოლოდ ამხანაგური გრძნობებით. 1888 წლამდე ისინი ბინას იყოფენ და იძიებენ საიდუმლო დანაშაულთ, ხოლო შემდეგ ვატსონს ცოლი მოჰყავს და მისის ჰადსონის მყუდრო ჭერს ტოვებს.

1891 წელს ჰოლმსი პროფესორ მორიარტის კვალს წააწყდა, ჩანჩქერთან შეება და ვითომ დაიღუპა. 1894 წლამდე ჰოლმსი მოგზაურობდა რა ინკოგნიტოდ მთელ მსოფლიოში, თვალს მიეფარა.

მოულოდნელად ის კვლავ გამოჩნდება ლონდონში და ისევ ბეიკერ-სტრიტზე დაბინავდება. 1904 წელს მაძებარი საქმეებს ჩამოშორდება და სასექსში გადადის, იქ ის მეფუტკრეობას დაჰყრის გულს. 1914 წელს იგი თავის ბოლო საქმეს იძიებს.

ირიბ მტკიცებათა მიხედვით, შესაძლებელია ვარაუდი, რომ ვატსონიც და ჰოლმსიც ცოცხლები იყვნენ 1923 წლამდე.



(გაგრძელება იქნება)

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო - ზარზმის მონაკვეთის სარეაბილიტაციო - სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ბათუმი-ახალციხის გზის პროექტი, ხულო-გოდერძის მონაკვეთი) პროექტს.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფელ დანისპარაულში, მოქალაქეების **აზა მიქელაძის (პ/ნ 61009018446), თამარა მიქელაძის (პ/ნ 61009021008), ლეო მიქელაძის (პ/ნ 61009006849), ნათია მიქელაძის (პ/ნ 61409035797), ნანა მიქელაძის (პ/ნ 61009031915), ნიკა მიქელაძის (პ/ნ 61009033604), ნინიკო მიქელაძის (პ/ნ 61009031931) და რამაზ მიქელაძის (პ/ნ 61009013268)** თანასაკუთრებაში არსებული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მთლიანი 2500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.01.32.030) ნაწილი 150 კვ.მ. და მასზე განლაგებული უძრავ ქონება.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქეებთან **აზა მიქელაძესთან (პ/ნ 61009018446), თამარა მიქელაძესთან (პ/ნ 61009021008), ლეო მიქელაძესთან (პ/ნ 61009006849), ნათია მიქელაძესთან (პ/ნ 61409035797), ნანა მიქელაძესთან (პ/ნ 61009031915), ნიკა მიქელაძესთან (პ/ნ 61009033604), ნინიკო მიქელაძესთან (პ/ნ 61009031931) და რამაზ მიქელაძესთან (პ/ნ 61009013268)** ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთის **(ს/კ 23.01.32.030)** ნაწილის 150 კვ.მ.-ის და მასზე განლაგებული უძრავი ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 04 აპრილის №1-1/163 ბრძანებით (შესულია ცვლილება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 24 აპრილის №1-1/206 ბრძანებით), დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების **აზა მიქელაძის (პ/ნ 61009018446), თამარა მიქელაძის (პ/ნ 61009021008), ლეო მიქელაძის (პ/ნ 61009006849), ნათია მიქელაძის (პ/ნ 61409035797), ნანა მიქელაძის (პ/ნ 61009031915), ნიკა მიქელაძის (პ/ნ 61009033604), ნინიკო მიქელაძის (პ/ნ 61009031931) და რამაზ მიქელაძის (პ/ნ 61009013268)** თანასაკუთრებაში არსებულ სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მთლიანი 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ **23.01.32.030**) ნაწილზე 150 კვ.მ-ზე და მასზე განლაგებულ უძრავ ქონებაზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე. დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, **აზა მიქელაძის (პ/ნ 61009018446), თამარა მიქელაძის (პ/ნ 61009021008), ლეო მიქელაძის (პ/ნ 61009006849), ნათია მიქელაძის (პ/ნ 61409035797), ნანა მიქელაძის (პ/ნ 61009031915), ნიკა მიქელაძის (პ/ნ 61009033604), ნინიკო მიქელაძის (პ/ნ 61009031931) და რამაზ მიქელაძის (პ/ნ 61009013268) თანასაკუთრებაში არსებულ სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მთლიანი 2500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.01.32.030) ნაწილის 150 კვ.მ-ზე და მასზე განლაგებულ უძრავ ქონებაზე** ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო - ზარზმის მონაკვეთის სარეაბილიტაციო - სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ბათუმი-ახალციხის გზის პროექტი, ხულო-გოდერძის მონაკვეთი) პროექტს.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფელ დიაკონიძეებში, მოქალაქე **როინ სოლომონიძის (პ/ნ 61009014269)** საკუთრებაში არსებული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მთლიანი 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.06.39.307) ნაწილი 40 კვ.მ.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე **როინ სოლომონიძესთან (პ/ნ 61009014269)** ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის **(ს/კ 23.06.39.307)** ნაწილის 40 კვ.მ.-ის მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 04 აპრილის №1-1/163 ბრძანებით (შესულია ცვლილება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 24 აპრილის №1-1/206 ბრძანებით), დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქე **როინ სოლომონიძის (პ/ნ 61009014269)** საკუთრებაში არსებულ სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მთლიანი 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ **23.06.39.307**) ნაწილზე 40 კვ.მ-ზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, **როინ სოლომონიძის (პ/ნ 61009014269) საკუთრებაში არსებულ სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მთლიანი 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.06.39.307) ნაწილზე 40 კვ.მ-ზე** ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო - ზარზმის მონაკვეთის სარეაბილიტაციო - სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ბათუმი-ახალციხის გზის პროექტი, ხულო-გოდერძის მონაკვეთი) პროექტს.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია ხულოს მუნიციპალიტეტში, დაბა ხულოში, მ. აბაშიძის ქ. 31-ში, მოქალაქე **გოჩა პაქსაძის (პ/ნ 61009007680)** საკუთრებაში არსებული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მთლიანი 1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.11.31.834) ნაწილი 168 კვ.მ-ზე და მასზე განლაგებული უძრავი ქონება.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე **გოჩა პაქსაძესთან (პ/ნ 61009007680)** ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების 1200 კვ.მ მიწის ნაკვეთის **(ს/კ 23.11.31.834)** ნაწილის 168 კვ.მ.-ის და მასზე განლაგებული უძრავი ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 04 აპრილის №1-1/163 ბრძანებით (შესულია ცვლილება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 24 აპრილის №1-1/206 ბრძანებით), დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქე **გოჩა პაქსაძის (პ/ნ 61009007680) საკუთრებაში არსებულ სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მთლიანი 1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.11.31.834) ნაწილზე 168 კვ.მ-ზე და მასზე განლაგებულ უძრავ ქონებაზე.**

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე. დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, **გოჩა პაქსაძის (პ/ნ 61009007680) საკუთრებაში არსებული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მთლიანი 1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.11.31.834) ნაწილზე 168 კვ.მ-ზე და მასზე განლაგებულ უძრავ ქონებაზე** ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲥᲕᲔᲣᲬᲧᲔᲑᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ – ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ „ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲔ-4 ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო - ზარზმის მონაკვეთის სარეაბილიტაციო - სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ბათუმი-ახალციხის გზის პროექტი, ხულო-გოდერძის მონაკვეთი) პროექტს.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფელ დიოკნისეში, მოქალაქეების **თეონა შავაძის (პ/ნ 52001015757), მინდია შავაძის (პ/ნ 52001021844)** და **ნათია შავაძის (პ/ნ 52001018506)** თანასაკუთრებაში არსებული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების შემდეგი უძრავი ქონება:

1.1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.02.36.325) ნაწილი 663 კვ.მ. და მასზე განლაგებული უძრავი ქონება;

2. 1502 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.02.36.329) ნაწილი 112 კვ.მ. და მასზე განლაგებული უძრავი ქონება;

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქეებთან **თეონა შავაძესთან (პ/ნ 52001015757), მინდია შავაძესთან (პ/ნ 52001021844)** და **ნათია შავაძესთან (პ/ნ 52001018506)** ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება შემდეგი უძრავი ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე:

1.1200 კვ.მ მიწის ნაკვეთის **(ს/კ 23.02.36.325)** ნაწილი 663 კვ.მ. და მასზე განლაგებული უძრავი ქონება;

2. 1502 კვ.მ. მიწის ნაკვეთის **(ს/კ 23.02.36.329)** ნაწილი 112 კვ.მ. და მასზე განლაგებული უძრავი ქონება.

მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 04 აპრილის №1-1/163 ბრძანებით (შესულია ცვლილება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 24 აპრილის №1-1/206 ბრძანებით), დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების:

1. **თეონა შავაძის (პ/ნ 52001015757), მინდია შავაძის (პ/ნ 52001021844)** და **ნათია შავაძის (პ/ნ 52001018506)** თანასაკუთრებაში **არსებულ სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მთლიანი 1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.02.36.325) ნაწილზე 663 კვ.მ-ზე და მასზე განლაგებულ უძრავ ქონებაზე;**

2. **.თეონა შავაძის (პ/ნ 52001015757), მინდია შავაძის (პ/ნ 52001021844)** და **ნათია შავაძის (პ/ნ 52001018506)** თანასაკუთრებაში **არსებულ სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მთლიანი 1502 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.02.36.329) ნაწილზე 112 კვ.მ-ზე და მასზე განლაგებულ უძრავ ქონებაზე;** ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით, შემდეგ ქონებაზე:

1. **თეონა შავაძის (პ/ნ 52001015757), მინდია შავაძის (პ/ნ 52001021844)** და **ნათია შავაძის (პ/ნ 52001018506)** თანასაკუთრებაში **არსებულ სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მთლიანი 1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.02.36.325) ნაწილის 663 კვ.მ-ზე** და **მასზე განლაგებულ უძრავ ქონებაზე;**

2. **თეონა შავაძის (პ/ნ 52001015757), მინდია შავაძის (პ/ნ 52001021844)** და **ნათია შავაძის (პ/ნ 52001018506)** თანასაკუთრებაში **არსებულ სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მთლიანი 1502 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.02.36.329) ნაწილის 112 კვ.მ-ზე** და **მასზე განლაგებულ უძრავ ქონებაზე.**

ᲝᲓᲔᲡᲣᲠᲘ „ᲛᲐᲡᲙᲐᲠᲐᲓᲘ“

1946 ᲬᲚᲘᲡ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ მოსკოვში უმაღლესი სამხედრო შემადგენლობის სხდომა გაიმართა, რომელზეც განიხილეს მარშალ ჟუკოვის საქმე ავიაციის მთავარი მარშლის ნოვიკოვის დაკითხვის მასალების საფუძველზე (ნოვიკოვი მანამდე დაატაპტიმრეს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა). **ჟუკოვი დაადანაშაულეს ნადავლის უკანონო მითვისებასა და ჰიტლერის დამარცხებაში საკუთარი დამსახურების გაბუქებაში. სტალინის პირადი ფორმულირება: „თვითონ ითვისებდა ოპერაციათა დამუშავების პირველობას, რასთანაც არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა“.**

ეს ფრაზა ჰაერზე არ შობილა. დაპატიმრებული ავიაციის მთავარი მარშლის ნოვიკოვის ჩვენებიდან: **„ჟუკოვი ჩემთან და სხვა პირებთან საუბრისას ძალიან ეშმაკურად, ფრთხილად ცდილობს მიჩქმალოს უმაღლესი მთავარსარდლის ხელმძღვანელი როლი ომში და იმავდროულად, ურცხვად წინ სწევს თავის, როგორც სარდლის როლს, იმასაც კი აცხადებს, ძირითადი სამხედრო ოპერაციების გეგმები ჩემი დამუშავებულიაო. ასე რომ, ბოლო წელიწადნახევრის მანძილზე საუბრებისას, ჟუკოვმა განმიცხადა, ლენინგრადთან, სტალინგრადთან და კურსკის რკალზე გერმანელების დამარცხების ოპერაციები ჩემი იდეების მიხედვით დამუშავდა, მომზადდა და ჩატარდა ჩემივე ხელმძღვანელობითო. ამასვე მეუბნებოდა ჟუკოვი გერმანელების მოსკოვთან განადგურების შესახებ“.**

სხდომაზე პრაქტიკულად ყველამ, კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის გოლიკოვის გარდა, დაიცვა გიორგი კონსტანტინეს ძე, პოლიტბიუროს წევრებმა ჟუკოვი დაადანაშაულეს „ბონაპარტიზმში“, იმაში, რომ მან პოლიტგანყოფილებები გამოიყვანა სახმელეთო ჯარების შემადგენლობიდან.

1946 წლის ივნისში დაიწყო გამოძიება „ალაფის საქმეზე“. მასალები ადასტურებდა, რომ ჟუკოვს გერმანიიდან გამოტანილი ჰქონდა მნიშვნელოვანი რაოდენობის ავეჯი, ხელოვნების ნიმუშები და სხვა ნაალაფევი ქონება თავისი პირადი საკუთრებისთვის. მას ამოუღეს: **17 ოქროს და 3 ძვირფასი თვლებით მოოჭვილი საათი,15 ოქროს კულონი, 400 მეტრზე მეტი ქსოვილი, 323 ბეწვეული, 44 ხალიჩა და გობელენი, 55 ნახატი, 55 ყუთი ჭურჭელი, 20 სანადირო თოფი** და ა.შ. ქონება გერმანიის სასახლეებიდან იყო გამოზიდული. ჟუკოვი ამ ამბავთან დაკავშირებით თავის ახსნა-განმარტებით ბარათში სკპ(ბ) ცკ-ის მდივნის ანდრეი ჟდანოვის სახელზე წერდა: **„...თავს უაღრესად დამნაშავედ მივიჩნევ იმაში, რომ მთელი ეს ჩემთვის უსარგებლო ხარახურა რომელიმე საწყობს არ ჩავაბარე, მივიჩნევ, რომ ის არავისთვის საჭირო არ არის. ვიძლევი ბოლშევიკის მტკიცე ფიცს, რომ აღარ დავუშვებ მსგავს შეცდომას და სისულელეს. მჯერა, რომ მე კვლავ საჭირო ვიქნები სამშობლოსთვის, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისა და პარტიისათვის“.**

1946 წლის 9 იანვარს ჟუკოვი გაათავისუფლეს სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის – სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან და დანიშნეს ოდესის სამხედრო ოლქის ჯარების მეთაურად. 1947 წლის თებერვალში სკპ(ბ) ცკ-ის პლენუმზე ის გამოიყვანეს სკპ(ბ) ცკ-ის წევრობის კანდიდატთა სიიდან. 1948 წლის 20 იანვარს პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება: „საბჭოთა კავშირის მარშალ გ.კ. ჟუკოვის შესახებ“. მასში ნათქვამია: **„ამხ. ჟუკოვმა გერმანიაში საბჭოთა საოკუპაციო ჯარების ჯგუფის მთავარსარდლად ყოფნისას, დაუშვა ქმედებები, რომლებიც არცხვენდნენ სკპ(ბ) წევრის მაღალ წოდებას და საბჭოთა არმიის მეთაურის ღირსებას. თუმცა სახელმწიფოს მიერ ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იყო ყოველგვარი აუცილებლით, ამხ. ჟუკოვი ბოროტად იყენებდა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, დაადგა მარადიორობის გზას, პირადი საჭიროებისთვის ითვისებდა და გერმანიიდან გამოჰქონდა დიდძალი სხვადასხვა ფასეულობა. ამ მიზნით ამხ. ჟუკოვმა, რომელმაც მომხვეჭელობის აულაგმავი სწრაფვა გამოიჩინა, ამ საქმეში ჩართო ხელქვეითები, რომლებიც მლიქვნელობდნენ მის წინაშე და აშკარა დანაშაულს სჩადიოდნენ. კომისიაში ახსნა-განმარტების ჩამოსართმევად გამოძახებული ამხ. ჟუკოვი პარტიის წევრისა და საბჭოთა არმიის ოფიცრისთვის შეუფერებლად იქცეოდა. არ იყო გულწრფელი, ცდილობდა, ყოველმხრივ დაემალა და შეელამაზებინა თავისი ანტიპარტიული ქცევა. აღნიშნული ქმედება ჟუკოვს წარმოაჩენს პოლიტიკურად და მორალურად დეგრადირებულ ადამიანად“.**

გარდაქმნის პერიოდში, ი. სტალინის უსაზღვრო ლანძღვის წლებში, იდეოლოგებს დასჭირდათ კვარცხლბეკზე სასწრაფოდ ასაყვანი პერსონაჟი და დაიწყო მითის შეთხზვა, რომელსაც შეიძლება „წმინდა გიორგის ცხოვრება“ ვუწოდოთ. ამოწიეს თითქოს „უსაფუძვლო ბრალდებები“, რომლებიც ხმიანობდა 1946, 1947 და 1948 წლებში. ამ მითის ერთი თავი შეიძლება ასე დავასათაუროთ: „ჟუკოვი ოდესაში“.

ომის შემდგომ ბანდიტიზმთან ბრძოლის ისტორიაში ეს ამბავი შევიდა როგორც ოპერაცია „მასკარადი“. მაგრამ მანამდე ორიოდ სიტყვა 1945-1946 წლების ოდესაზე.

ომის დროს ოდესა რუმინელებმა დაიკავეს, გერმანელები იქ ცოტანი იყვნენ, რუმინელები არ მხეცობდნენ, დაშვებული იყო კერძო საკუთრება, თავისუფალი ვაჭრობა. ქალაქის გათავისუფლების შემდეგ ამ „კერძოდან“ და „თავისუფალიდან“ რაღაც-რაღაცები ერთხანს შემორჩა, მაგალითად, „ბადეგები“ (ლუდი) და „ცუიკები“ (სიმინდის არაყი), რომლებიც კიშინიოვიდან ჩამოჰქონდათ, სადაც ორჯერ იაფი იყო. არსებობდა უამრავი შეიარაღებული წვრილი ბანდა. ქალაქში ყოველ ღამე სროლა ისმოდა, ხანდახან – აფეთქებებიც. იმ დროს შედარებით სერიოზული ბანდფორმირება იყო ერთობ ბანალური სახელწოდებით – „შავი კატა“, რომელიც რუმინული ოკუპაციის დროს წარმოიშვა. მასში შედიოდა შვიდი ადამიანი, მათგან – ორი ქალი. თავდაპირველად ისინი შეიარაღებულ თავდასხმებს აწყობდნენ რუმინელთა საწყობებზე. ოკუპანტთა ძარცვა კი რაღაცით ცუდი საქმე არ იყო, შეესატყვისებოდა ლენინურ პრინციპს: „ძარცვე ნაძარცვი“. მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ოდესის გათავისუფლების შემდეგ ადგილობრივი ჩამოსხმის არსენა მარაბდელებმა შეჩერება ველარ შეძლეს, თუმცა ალბათ არც სურდათ შეჩერება და მდიდარ ოდესელ მოვაჭრეებს დაერივნენ.

1945 წლის თებერვალში მილიციონერები ბანდიტთა კვალზე გავიდნენ სპეკულანტთა საშუალებით, რომლებიც ნაძარცვ პროდუქტებს ყიდდნენ. ოდესელი „კატების“ ლიკვიდაციის შემდეგ, ამ სახელწოდებას ირქმევდნენ დამნაშავეთა ჯგუფები მთელ საბჭოთა კავშირში. არსებითად ოდესაში ხდებოდა ისეთივე პროცესები, რაც საბჭოთა კავშირის სხვა ოკუპაციაგამოვლილ ქალაქებში – ნაალაფევი იარაღის სიმრავლე, დამნაშავეთა სამყაროს შევსება ყოფილი პოლიციელებით, ოკუპანტებითა და სხვა ხელის ბიჭებით, მილიციის სისუსტე... ასე რომ, ომისშემდგომი დამნაშავეობის ტალღა დამახასიათებელი იყო არა მხოლოდ ოდესისთვის.

ოღონდ სწორედ მარშალ ჟუკოვის დანიშვნამ ოდესის სამხედრო ოლქის სარდლის თანამდებობაზე იქონია გავლენა ამ ქალაქის არჩევაზე დამნაშავეობასთან ბრძოლის ადგილად, აგრეთვე შერისხული მარშლის სამხედრო და ადმინისტრაციული თვისებების სადემონსტრაციოდ.

ᲘᲮ. 11 ᲒᲕ.

ხელბურთი

„პეგასი“ ისევ პირველია

17-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს 2018-2019 წლების ჩემპიონატში 15 გუნდი მონაწილეობდა. შეჯიბრება სამ ეტაპად მოეწყო. პირველმა რაუნდმა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ლიგების ჩემპიონები და პრიზიორები გამოავლინა.

აღმოსავლეთი. **პეგასი — 28 (332:112), ყვარელი — 24 (294:166), ქარიშხალა — 18 (284:253), რუსთავი — 16 (322:310), ქარელი — 12 (271:299), გორი — 8 (164:244), თელავი — 4 (201:342), ლაგოდეხი — 2 (65:207).**

დასავლეთი. **აჭარა — 20 (357:284), სამტრედია — 19 (345:234), ბათუმი — 17 (298:270), ფოთი — 13 (262:238), ქუთაისი — 9 (259:235), ხელვაჩაური — 6 (268:317), წყალტუბო — 0 (160:371).**

ხუთ-ხუთმა საუკეთესომ ფინალურ ოთხეულში მოსახვედრად მეორე ეტაპზე განაგრძო პაექრობა. ოთხ-ოთხი მატჩის შემდეგ ჯგუფებში ადგილები ასე განაწილდა:

A ჯგუფი. **პეგასი — 8 (110:56), სამტრედია — 6 (74:52), ფოთი — 4 (86:87), ქარიშხალა — 2 (69:92), ქარელი — 0 (52:104) ქულა.**

B ჯგუფი. **ბათუმი — 8 (99:75), აჭარა — 6 (85:62), ყვარელი — 4 (70:71), ქუთაისი — 2 (74:82), რუსთავი — 0 (68:106) ქულა.**

მესამე ეტაპი თბილისის „პეგასის“ ჩემპიონობით დასრულდა, რომელიც ბოლო წლებში ჭაბუკთა ასაკობრივი ჩემპიონატების უცვლელი გამარჯვებული იყო, მაგრამ შარშან მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა, წლეულს კი ტიტული დაიბრუნა — ფინალში სწორედ 2018 წლის გამარჯვებულ „სამტრედიას“ აჯობა. მესამე ადგილი „აჭარამ“ დაიკავა.

ნახევარფინალი. **„პეგასი“ — „აჭარა“ 46:31, „სამტრედია“ — „ბათუმი“ 41:33;**

ფინალი. **„პეგასი“ — „სამტრედია“ 40:25.**

მატჩი მე-3 ადგილისთვის. **„აჭარა“ — „ბათუმი“ 36:32.**

წლეულს პირველ-ხუთ ივლისს საქართველოს 17-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გეტებორგში (შვედეთი) ევროპის ჩემპიონატში ითამაშებს.

ლექსო ცინცაძე

ჭიდაობა

მედალთცვენა კიევსა და ბუქარესტში

5 ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალი - ასეთი ნადავლით დაბრუნდნენ უკრაინის დედაქალაქ კიევიდან ქართველი ფალავნები, სადაც მათ „სახელოვან უკრაინელ მოჭიდავეთა და მწვრთნელთა ხსოვნის“ XXIII საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს. შეჯიბრებაში 22 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა გიორგი იანტბელიძის ხელმძღვანელობით 10 წონითი კატეგორიიდან ოთხში ოქროს მედალი მოიპოვეს, თანაც ორ წონაში ქართული ფინალები გაიმართა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ზურაბ იაკობიშვილი (65 კგ), ავთანდილ კენჭაძე (74 კგ), ტარიელ გაფრინდაშვილი (79 კგ) და ირაკლი მწითური (92 კგ). იაკობიშვილმა გადამწყვეტ პაექრობაში თანაგუნდელ რამაზან მალაკოევს აჯობა, კენჭაძემ კი ზურაბ ერბოწონაშვილს სძლია. მხოლოდ ფინალი დათმო ელიზბარ ოდიკაძემ (97 კგ), რომელსაც ვერცხლი ერგო. ოთარ გოგავა და თეიმურაზ ვანიშვილი (ორივე - 61 კგ) მესამე ადგილებზე გავიდნენ.

„კლასიკოსთა“ ნაკრებიდან ოქროს მედალი გელა ბოლქვაძემ (77 კგ) დაიმსახურა. ქერიმ მაჩალიკაშვილი (63 კგ) და გურამ ხეცურიანი (87 კგ) მეორე ადგილებს დასჯერდნენ, ხოლო დავით ბაკურიძე (63 კგ), იური ლომაძე (72 კგ), ბექა მამუკაშვილი, დემურ ქავთარაძე (ორივე - 77 კგ) და სულხან ბუიძე (130 კგ) „ბრინჯაოებს“ დაყაბულდნენ. გუნდურ ჩათვლაში თავისუფლებმაც და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმაც მეორე ადგილები დაიკავეს.

***რუმინეთის** დედაქალაქ ბუქარესტში გამართულ საერთაშორისო ტურნირში თავისუფალი სტილით მოჭიდავე ქართველმა ჭაბუკებმა იასპარეზეს. მათ ანგარიშზეა 7 მედალი: ბეჟან ბარსონიძე (55 კგ), დავით კუჭუაშვილი (71 კგ) და გიორგი ჩიხრაძე (110 კგ) პირველ ადგილებზე გავიდნენ, „ვერცხლი“ გიგი ქურხულს (60 კგ) ერგო, ნიკოლოზ სანთელაძემ (48 კგ), დავით აბდალაძემ (60 კგ) და საბა გამთენაძემ (92 კგ) კი ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს. გიორგი კვინიკაძის გაწვრთნილი ნაკრები საერთო გუნდურ ჩათვლაშიც მეორე იყო.*

ლაშა დიდია

ფარიკაობა

მსოფლიოს თასს მადრიდმა უმასპინძლა

ესპანეთის დედაქალაქში გამართულ მოხმალავე ვაჟთა მსოფლიოს თასის ეტაპზე სხვადასხვა ქვეყნის 226 მუშკეტერი ცდიდა ძალებს, მათ შორის ოთხი — საქართველოდან. ჩვენებურთაგან გამოირჩა ევროპის ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი სანდრო ბაზაძე, რომელიც, მსოფლიოს რეიტინგის გათვალისწინებით, 16 განთესილს შორის იყო და პაექრობებში პლეი ოფიდან ჩაება. პირველ წრეში მან უკრაინელი ანდრიი იაგოდკა დაამარცხა — 15:14, შემდეგ მატიას საბო (გერმანია) ჩამოიშორა გზიდან - 15:13, მერვედფინალი მსოფლიოს კლასიფიკაციის სათავეში მყოფ ამერიკელ ელი დერშვიცთან 8:15 წააგო და საბოლოოდ მე-11 ადგილზე გავიდა, თანაც რეიტინგი 8 ქულით გაიმდიდრა და ახლა 96 ქულით მე-13 ადგილზეა.

ჯგუფურ ეტაპზე მიხეილ მარდალეიშვილმა და ბექა ბაზაძემ ექვსიდან 3-3 პაექრობა მოიგეს და პლეი ოფშიც გავიდნენ, სადაც მარდალეიშვილმა ორ, ხოლო ბაზაძემ ერთ მეტოქეს სძლია და მათ, შესაბამისად, 58-ე და 93-ე ადგილები დაიკავეს. საბა სულამანიძეს ერთადერთი გამარჯვებით 187-ე ადგილი ერგო, საპრიზო ადგილები კი ასე განაწილდა: 1. მაქს ჰარტუნგი (გერმანია), 2. არონ სილადი (უნგრეთი), 3. იუნჰო კიმი, სანგუკ ოჰი (ორივე — კორეა).

გუნდურში საქართველოს მოხმალავეთა ნაკრებმა პირველ წრეში ბელარუსს აჯობა — 45:38, მაგრამ შემდეგ ირანთან დამარცხდა - 41:45. IX-XVI ადგილებისთვის პაექრობაში ჩვენებმა ეგვიპტეს სძლიეს — 45:25, მერე კონკურენტ რუმინეთთან ვერას გახდნენ — 38:45, ბოლო შეხვედრაში იაპონიას მოუგეს — 45:43 და მე-11 ადგილი დაიკავეს. პირველ-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, იტალია, რუსეთი და კორეა გავიდნენ.

გივი გაგუა

ტყვიის სროლა

ნინო სალუქვაძის ჭირში

დასრულდა საქართველოს პირველობა პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში. მედლები ორ ასაკში - უფროსებსა და ახალგაზრდებში გათამაშდა. საკვალიფიკაციო და ფინალური პაექრობების შემდეგ საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:

ქალები. 1. ლიზი კილაძე (ქუთაისი, 231.4), 2. მარიამ ღვინიაშვილი (თბილისი, 230.2), 3. ნინო ხუციბერიძე (ქუთაისი, 203.0).

გოგონები. 1. მარიამ მარშავა (347), 2. ვიქტორია ქებაძე (347), 3. მარიამ ომსარაშვილი (343). გოგონებში პირველი ადგილის ბედი დამატებითი მაჩვენებლებით გადაწყდა: მარშავამ ბოლო სერიაში უკეთ ისროლა და ამით აჯობა ქებაძეს.

ვაჟები. 1. ვლადიმერ მაიოროვი (234.6), 2. აკაკი მოსულიშვილი (229.8), 3. ბესიკ სირაძე (208.5).

ბიჭები. 1. დაჩი გოდუაძე (353), 2. ლაშა შავშიშვილი, 346), 3. ლუკა ხუციშვილი (346).

შერეული წყვილები: 1. ლიზი კილაძე (ქუთაისი), ცოტნე მაჭავარიანი (თბილისი, 467 ქულა), 2. მარიამ მაღრაძე, ლევან ბოჭორიშვილი (ორივე — თბილისი, 466), 3. მარიამ ღვინიაშვილი, მიხეილ სანიკიძე (ორივე - თბილისი, 465).

თამაზ პატარიძე

სუმო

ქართული დღე

წარმატებულ **გამოსვლას განაგრძობენ ქართველი სუმოისტები ნაცუ ბაშოზე . გაზაფხულის მეორე სუპერტურნირის მესამე საშეჯიბრო დღეს მორიგი ქულა ჩაიწერა აქტივში ლევან გორგაძემ. ქართველი სუმოისტის მეტოქე მეოთხე მეაგაშირა ოკინოუმი იყო და ტოჩინოშინმა მისი ძლევა იორიკირის ილეთით მოახერხა.**

შერკინება იაპონელის უპირატესობით დაიწყო, რომელმაც ტოჩი დოჰიოს კუთხესთან მიიმწყვდია, თუმცა, ქართველმა მისი მოგერიება შეძლო და მესამე გამარჯვება შესანიშნავ სტილში მოიპოვა!

აქვე გეტყვით, რომ აღნიშნული წყვილი ერთმანეთს მე-13-ედ დაუპირისპირდა და ჩვენებურმა მერვედ შეძლო მასპინძლის დამარცხება.

ლევანი დღეს ტამავაშის შეხვდება და ოძეკის ტიტულის დასაბრუნებლად დარჩენილი ორთაბრძოლებიდან მინიმუმ 7-ის მოგება მართებს.

ტოჩინოშინის მსგავსად მოიგო თეიმურაზ ჯუღელმაც. რანგით მეორე დივიზიონში მოასპარეზე გაგამარუს მეტოქე ჯურიოს მეცხრე ნომერი ჩიონოუმი იყო, რომლის დამარცხებაც ქართველ გოლიათს არ გასჭირვებია. ამრიგად, მიმდინარე ბაშოზე მისი ბალანსი გახდა 2:1.

კობა კობახიძე

ოკეანის გაღმა

გზად სან დიეგოსკენ

ამ დღეებში რიო დე ჟანეირომ კალიფორნიულ სან დიეგოში გასამართავი მსოფლიო ქვიშის თამაშების სალიცენზიო ტურნირს უმასპინძლა საპლაჟო ჭიდაობაში, რომელიც მსოფლიო სერიის რიგით მეორე ასპარეზობაც გახლდათ.

ბრაზილიაში ქართული კვარტეტი გაემგზავრა და სამშობლოში ოთხივე ჩვენი ფალავანი გამარჯვებული დაბრუნდა: ლევან ქელეხსაშვილი (70 კგ), დავით ხუციშვილი (80 კგ), დავით მარსაგიშვილი (90 კგ) და მამუკა კორძაია (+90 კგ).

დავძენთ, რომ ხუციშვილმა და კორძაიამ ფინალში აზერბაიჯანელი, ქელეხსაშვილმა — უკრაინელი, მარსაგიშვილმა კი პაკისტანელი მეტოქეები დაამარცხეს.

ვიტალი ჯაფარიძე

ოდესური „მასკარადი“

(მეცხრე გვერდიდან)

ბევრმა არ იცის, რომ ომისშემდგომ ოდესაში კრიმინალების სალიკვიდაციოდ ჩატარდა ოპერაცია კოდური სახელწოდებით — „მასკარადი“. ოფიციალური ვერსია ასეთია: 907-დღიანი ოკუპაციის შემდეგ ოდესა საბჭოთა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს დახვდა უამრავი დუქნით და ბაზრებში საზიდრებით, რომლებიდანაც ღვინოარაყს ყიდდნენ. ახალ საბჭოთა წესრიგთან შეგუება ოდესის „შპანას“ დიდხანს არ უნდოდა, როცა შემოვიდა საბარათო სისტემა, პროდუქტის დეფიციტი, ბანდიტურმა ოდესამ ფრთები გაშალა, გალაღდა, შებინდებისას ქუჩაში შეუძლებელი იყო სიარული: გაგხდიდნენ, გცემდნენ, შეიძლება მოეკალი კიდეც. ქალაქი შიშით იყო გათანგული. 1946 წლიდან ოდესაში მილიციის საგანგებო ორგანოები შეიქმნა, მაგრამ მათში პროფესიონალი, გამოცდილი მუშაკი ცოტა იყო და ბანდიტთა ლიკვიდაციას ვერ ახერხებდნენ. ძარცვავდნენ არა მხოლოდ მოსახლეობას, არამედ საწარმოებსაც — საკონდიტროებს, ბისკვიტის საცხობებს, ცხიმკომბინატებს...

როცა 1946 წლის ივნისში ჟუკოვი ოდესის სამხედრო ოლქის სარდლად დანიშნეს, ბევრს ჩაესახა იმედი, რომ იგი რაიმეს მოუხერხებდა ოდესურ ბანდიტიზმს. ჟუკოვი ოდითგან განთქმული იყო სიმკაცრით, შერეკილობითაც კი. ოდესაში მან უცებ აჩვენა ხასიათი. მაგალითად, კონტუზიის შემდეგ დაქვეითებული სმენის გამო ვერ გაიგო, თუ როგორ უკაკუნებდა კაბინეტის კარზე ოლქის პროკურორი. როცა კარებში იურისტი პოლკოვნიკი დაინახა, დაუღრიალა: „რატომ არ დააკაკუნე?“ და უბრძანა კარიდან მაგიდამდე „პლასტუნურად“ ეხოხა.

მარშლის აზრით, ვინმეს წინააღმდეგ ომი არ საჭიროებდა იურიდიულ კაზუისტიკას. ომის დროს მისი ბრძანებები ხშირად უარყოფდა კონსტიტუციას და კანონებს. ზუსტად ასეთ ღონისძიებებს მიიჩნევდა აუცილებლად აბობოქრებული კრიმინალის დასამარცხებლადაც. ჟუკოვის ინიციატივით მებრძოლ ოფიცრებს გადააცმევდნენ ძვირფას ნადავლ კოსტიუმებს, მისცემდნენ მძიმე ჩემოდნებს და წინასწარგანზრახულად უშვებდნენ ყველაზე ბნელ ქუჩებში, რა თქმა უნდა, იარაღით ხელში. ისინი დაუყოვნებლივ ესროდნენ თავდამსხმელთ, ოპერაცია „მასკარადის“ პირველ ღამეს 40 ბანდიტი გაანადგურეს, მომდევნო ორ ღამეში — კიდევ 40, ხოლო ერთი კვირის შემდეგ ყაჩაღური თავდასხმები იშვიათი გახდა.

და აქ, ოპერაცია „მასკარადის“ ისტორიკოსთა აზრით, დაიწყო მარშალ ჟუკოვისთვის დამახასიათებელი გადახრები. შეიძლება, მას სურვილი სწვავდა, თავი გამოეჩინა სტალინის წინაშე, რომელმაც ის „გადასახლებაში“ გამოუშვა. „როგორც კი სამოქალაქოდ გადაცმული ჟუკოვის ოფიცრები შენიშნავდნენ საეჭვოს (ზოგი პაპიროსის მოსაკიდებლად მოდიოდა!), ისინი მაშინვე სროლას იწყებდნენ. მათ არ სჭირდებოდათ ვინმეს დაპატიმრება, ისინი უბრალოდ ესროდნენ, სანამ ორიოდ თვეში რამდენიმე ასეული ადამიანი არ მოკლეს“, — წერს ოდესელი ისტორიკოსი და მწერალი ვიქტორ სავჩენკო. 1947 წლის შემოდგომაზე ოდესა გაიწმინდა დამნაშავეებისგან.

ასეთია ჟუკოვის ოპერაცია „მასკარადის“ ვერსია, უფრო ზუსტად არა ვერსია, არამედ ლეგენდა, რომლის ერთ-ერთი ავტორი თვით გიორგი კონსტანტინეს ძე იყო. სინამდვილეში კი ყველაფერი მთლად ასე არ გახლდათ, უფრო ზუსტად — სულაც არ იყო ასე. სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალი ალექსეი ზაზულინი ამტკიცებდა: **„სიბერეში ჟუკოვი სიამაყით ყვებოდა, რომ ოდესაში ერთ ღამეში მოიშორა ყველა დამნაშავეთა ჯგუფის მეთაური და მთავარი ქურდები. მაგრამ „მასკარადი“, ადგილზე დახვრეტები, მარშალს არსად არც ერთხელ არ უხსენებიათ“.**

სავარაუდოა, რომ სწორედ ოდესის მოვლენების გამოძახილი იყო, რომ 1970 წლების დასაწყისში სსრკ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა შჩოლოკოვმა მარშალი ჟუკოვი დააჯილდოვა სამკერდე ნიშნით „სსრკ შსს-ის დამსახურებული მუშაკი“.

ალეკო ასლანიშვილი

4 წლის „სპაიდერმენი“ მერვე სართულიდან გადახტა...

სპაიდერმენის ფორმაში გამოწყობილი 4 წლის ბიჭუნა გუშინ მერვე სართულიდან გადახტა — ამის შესახებ ინფორმაციას „პრაიმ ტაიმი“ ავრცელებს. შემთხვევა გლდანში მოხდა.

არსებული ინფორმაციით, ბიჭი სახლში ბებიასთან ერთად იმყოფებოდა. თვითმხილველების თქმით, ბავშვს შემთხვევის დროს სპაიდერმენის ფორმა ეცვა. ის ჯერ მეზობლის ხეივანზე დაეცა და შემდეგ — მიწაზე. ბიჭუნა გადარჩა.

სასწრაფო დახმარების ექიმებს ბიჭუნამ უთხრა, რომ ის აივნიდან თვითონ გადახტა. ვარაუდობენ, რომ ბიჭმა საყვარელი გმირი განასახიერა.

ბავშვი იაშვილის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს. მას სერიოზული დაზიანება არ მიუღია.

ქუთაისის ერთ-ერთ სკოლაში მანდატურმა მოსწავლე სიკვდილს გადაარჩინა

როგორც მანდატური ამბობს, საპირფარეშოსთან მოსწავლეების ჩოჩქოლი შენიშნა და მათთან მივიდა, სადაც მე-8 კლასელი ბიჭი დაინახა, რომელიც იატაკზე გონდაკარგული იწვა.

მანდატურმა სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახა, თუმცა ბრიგადის მოსვლამდე თავად შეეცადა მოსწავლის დახმარებას.

დრო არ ითმენდა. ბიჭი უგონოდ იყო. ხელში ავიყვანე და მანდატურების ოთახში, პირველ სართულზე ჩამოვიყვანე. შევუმოწმე გულისცემა, სასუნთქი გზები. პირველადი დახმარების ყველა საჭირო ზომას მივმართე და მოსწავლე, როგორც იქნა, გონს მოვიყვანე. როცა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა მოვიდა, ბიჭის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკვე დამაკმაყოფილებელი იყო. შემდგომი გამოკვლევებისთვის, ის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამჟამად მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება“, — იხსენებს მანდატური ვასილ იამანიძე.

ჩაქვში ავტომობილი ხიდიდან გადავარდა

ჩაქვში ცენტრალურ გზაზე ავტომობილი ხიდიდან მდინარეში გადავარდა, აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას აჭარის ტელევიზია ავრცელებს. თვითმხილველების განმარტებით, მძღოლი სწრაფად მოძრაობდა. შინაგან საქმეთა სამინისტროში აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელს უთხრეს, რომ შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

სტომატოლოგიური კლინიკები - ინფექციის ბუდე!!!

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ინფექციის პრევენციისა და კონტროლის (იპკ) სისტემის ეფექტიანობის აუდიტი იმის დასადგენად, თუ რამდენად საკმარისია ქვეყანაში არსებული რეგულაციები და კონტროლის მექანიზმები სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციის პრევენციისა და კონტროლის ეფექტიანი სისტემის უზრუნველსაყოფად. აუდიტის შედეგად გამოვლინდა ის ნაკლოვანებები, რომლებიც გავლენას ახდენენ სისტემის ეფექტიანად მართვაზე, ამის შესახებ საუბარია აუდიტის სამსახურის დასკვნაში.

ქვეყანაში არ არის შემუშავებული ინფექციის პრევენციისა და კონტროლის ერთიანი ეროვნული სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რაც უზრუნველყოფდა სახელმწიფო დონეზე ერთიანი პოლიტიკისა და გასატარებელი ღონისძიებების არსებობას იპკ-ის სისტემის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული საკითხები მხოლოდ ფრაგმენტულად არის ასახული 2017-2020 წლების ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო და 2016-2020წლების C ჰეპატიტის ელიმინაციის ეროვნულ სტრატეგიებში, რაც არ არის საკმარისი პოლიტიკის განსასაზღვრად;

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროსა და ცენტრის მიერ შემუშავებულია მექანიზმები, რომლებიც მიმართულია ქვეყანაში სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების შესახებ ინფორმაციის გაუმჯობესებისკენ, ისინი არ არის საკმარისი მისი სანდოობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებში აღნიშნული მიმართულებით არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ, რაც, თავის მხრივ, შექმნიდა ნოზოკომიურ ინფექციებზე გაწეული ხარჯების იდენტიფიცირებისა და ეფექტიანი მართვის პირობებს;

კანონმდებლობა, ერთი მხრივ, ავალდებულებს დაწესებულებას, აღრიცხოს ნოზოკომიური ინფექციები და, მეორე მხრივ, არ მოითხოვს მათი დადასტურებისთვის აუცილებელ ერთ-ერთ ინსტრუმენტს— მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიას. შესაბამისად, საქმიანობის დაწყების ეტაპზე არ არის განსაზღვრული მექანიზმი, რისი მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა სტაციონარული დაწესებულებების მიერ ნოზოკომიური ინფექციების გამოვლენა, დადასტურება და აღრიცხვა;

კანონმდებლობა არ მოითხოვს, შემოწმდეს სტომატოლოგიური სამედიცინო დაწესებულებები საქმიანობის დაწყების ეტაპზე აკმაყოფილებენ თუ არა სავალდებულო მოთხოვნებს, ამავე დროს, შესამოწმებელი დაწესებულებების შერჩევის კრიტერიუმად არ არის განსაზღვრული ახლად გახსნილი სტომატოლოგიური დაწესებულებების შემოწმება, რაც ზრდის პაციენტების უსაფრთხოების რისკებს;

სადეზინფექციო საშუალებების რეგისტრაციისას, დოკუმენტაცია ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილია არასრულყოფილად. გარდა ამისა, არ არის კონკრეტულად გაწერილი, რა შინაარსის მატარებელი უნდა იყოს სავალდებულო დოკუმენტაცია, რაც ზრდის არაერთგვაროვანი მიდგომის რისკებს;

დეტალურად გაწერილი მეთოდოლოგია არ არის შემუშავებული, რომლის მიხედვით, რეგულირების სააგენტო უნდა ახორციელებდეს სამედიცინო დაწესებულებების კონტროლს, რაც ზრდის იმის რისკს, რომ სრულად ვერ გამოვლინდება სტაციონარულ დაწესებულებებში არსებული იპკ სისტემის ნაკლოვანებები.

სტომატოლოგიური დაწესებულებისთვის ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულია იპკ-ის სისტემის მოთხოვნები. 2018 წლის მაისის მდგომარეობით, ქვეყანაში მოქმედებდა 1,526 სტომატოლოგიური დაწესებულება. სააგენტოს მიერ 2015-2017 წლებში განხორციელებული შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ შემოწმებული სტომატოლოგიური დაწესებულების 54% ვერ აკმაყოფილებს იპკ-ის მოთხოვნებს. ამათგან, იპკ-ის სისტემის მიმართულებით ტექნიკური რეგლამენტის ცალკეული მოთხოვნის, ყველაზე მეტი დარღვევა გამოვლინდა დეზინფექციისა და სტერილიზაციის (მრავალჯერადი გამოყენების სამედიცინო იარაღების, საგნებისა და მასალებისათვის) სათანადო რეჟიმითა და აღრიცხვით უზრუნველყოფის პროცესში: 2015 წელს აღნიშნული მოთხოვნა დარღვეულია შემოწმებული სტომატოლოგიური დაწესებულებების 55%-ში, 2016 წელს — 48%-ში და 2017 წელს — 51%-ში.

◎ გვჯერა, იმედს გაგვიმართლებ

მთაწმინდელთა რჩეულს

ლადო კახაძეს

ხალხი რომ არ დასნეულდეს,
უნდა ჰყავდეს გამკურნავი,
ლადო ექიმს გააჩნია
სხვაზე მეტი ეს უნარი.
ერის წყლული, ერის დარდი
მან ყველაზე კარგად იცის,
ის ყოველთვის ერთგულია
თავის ხალხის, თავის სისხლის.
ამ ყველაფრის დასტურია
თავის ბოკვერებთან ფიცი,
ბაბუ კაცებს არ შეარცხვენს,
მთელმა საქართველომ იცის.
კაცი ბრძენი, კოლორიტი,
მცოდნე თითქმის ყველა დარგის,
ერის სულის სამკურნალოდ,
როგორც რწმენა, ისე დადის.
ღმერთმა მისცეს ჩვენს ქვეყანას
ბევრი, ბევრი დიდი ლადო,
ვისაც ძალუძს, ქვეყნისათვის
ვაჟკაცურად გული დადოს.
მეც ბაბუ ვარ, ჩემს ბოკვერებს
შენთან ერთად დავიფიცებ.

გვჯერა, იმედს გაგვიმართლებ,
სიტყვას საქმით დაგვიმტკიცებ.
არჩევანში აღარ შევცდეთ,
კვლავ გული არ გავისივოთ,
მთაწმინდელნო, ჩვენი ერის
გული – ლადო ავირჩიოთ.

ნუგზარ ტიბუა

კაკაბი ბუნებაში აღდგენის მიზნით გაუშვეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ველური ბუნების სააგენტოში 2016 წლიდან ფაუნის ადგილობრივი სახეობების მოშენება ხდება. სააგენტოს ტერიტორიაზე კაკბები, კოლხური ხოხბები და ე.წ. „ლურჯი ფრინველი“, ანუ ხონთქრის ქათმები ბინადრობს. ველურ გარემოში აღდგენის მიზნით, სააგენტომ ადგილობრივი სახეობა კაკბის 30 ფრთა ბუნებაში გაუშვა.

საქართველოში კაკაბი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, ცივ-გომბორის, გურია-აჭარის და თრიალეთის ქედებზე, ქვაღორღიან, მეჩხერი ბუჩქნარით დაფარული მთების ფერდობებზე, მთისწინეებიდან თოვლის ხაზამდე ბინადრობს.

ველური ბუნების სააგენტოში გარეულ ფრინველთა ორნიტოფაუნა 2017 წელს აშენდა; მოეწყო ბუნებასთან ინტეგრირებული ვოლიერები და საინკუბატორო საწიწილე ნაგებობები.

პილოტმა მფრინავი თეფში გადაილო

TURKISH AIRLINES-ის პილოტი ატილა სენტურკი და მისი ჯგუფი, სტამბოლი-კიოლნის რეიდზე ამო-ს (ამოუცნობი მფრინავი ობიექტი) გადააწყდნენ. როგორც თურქული მედია წერს, Turkish Airlines-ის ეკიპაჟის წევრები 10 მაისს უჩვეულო ფაქტის მოწმენი გახდნენ, მათ ცაზე სწრაფად მოძრავი, მოკაშკაშე ამოუცნობი მფრინავი ობიექტი შენიშნეს.

ეკიპაჟის წევრებმა ამო-ს ვიდეოკადრები ტელეფონის საშუალებით გადაიღეს.

„მე არასოდეს მინახავს ასე სწრაფად მოძრავი რამ“, – აღნიშნა პილოტმა. **„ეს არ იყო თანამგზავრი ან ვარსკვლავი. საბოლოოდ ის წარმოუდგენლად სწრაფი სიჩქარით გაქრა. ის ჩვენთან ძალიან ახლოს იყო. მზის მიუხედავად იყო ძალიან ბრჭყვიალა“**.

სოფელ რუხში ფეხბურთის აკადემიის მშენებლობა იწყება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში ფეხბურთის აკადემიის მშენებლობა იწყება.

სოფელ რუხში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი, თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელები ოთარ გაბელია, ნოდარ ხიზანიშვილი, დავით მუჯირი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგნელები იმყოფებოდნენ. ლევან კობიაშვილმა სოფელ რუხის მცხოვრებლებს დაგეგმილი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია გააცნო.

6.5 ჰექტარ ფართობზე, ბუნებრივსაფარიანი და ხელოვნურსაფარიანი მოედანი განთავსდება. დამონტაჟდება თანამედროვე განათების სისტემა და ტრიბუნები. აშენდება სპორტსმენთა საცხოვრებელი კორპუსი და გასახდელები.

ტერიტორიაზე, სადაც 2020 წელს სოფელ რუხის ფეხბურთის აკადემია იქნება, სიმბოლურად, სპეციალური კაფსულა ჩაეშვა.

პროექტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივითა და სრული მხარდაჭერით ხორციელდება.

ებრაული კულტურული ძეგლების აუდიოვიზუალური ასახვა

ისრაელის სახლი, ევროსაბჭოსა და AEPJ-თან თანამშრომლობით აცხადებს კონკურსს საქართველოში ებრაული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აუდიოვიზუალურ ასახვაზე ორ კატეგორიაში: 1.თანამედროვეობა; 2. მასალები წარსულიდან.

საუკეთესო ნამუშევრების ავტორები დაჯილდოვდებიან 5000 ევრომდე პრიზებით და მათ შორის ყველაზე წარმატებული გაემგზავრება ევროპაში გამოფენაზე.

კონკურსი ფოკუსირდება არქიტექტურასა და ურბანიზმზე ებრაულ მემკვიდრეობასთან მიმართებაში,რათა მოხდეს თანამედროვე ნამუშევრების გენერირება ციფრულ ფორმატში იმ საერთო ელემენტების წარმოჩენის მიზნით, რომლებიც აახლოებენ ებრაული და არაებრაული წარმოშობისა და კულტურის მოქალაქეებს იმის თვალნათლივ წარმოსაჩენად, რომ ებრაული კულტურა წარმოადგენს ევროპული ოჯახის ნაწილს და ის კვალი, რომელიც ეკუთვნის ებრაულ წარსულს, ჯერ ისევ შენარჩუნებული და ცოცხალია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში იმისათვის, რომ უკეთესად გავაცნობიეროთ წარსული.

მონაწილეებს ექნებათ შესაძლებლობა, წარადგინონ ერთი ცალკეული ნამუშევარი ან ნამუშევართა სერია, რომელიც შედგება არანაკლებ 3 ელემენტისაგან (მაგალითად, დამოუკიდებელი ფოტოები),რომლებსაც აერთიანებს ერთი საერთო თემა ან სათაური.

კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაციის ვადა 2019 წლის 26 ივნისს იწურება. მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ნომერზე: 0322 997035

ვებ გვერდი:
კონკურსი: https://paralleltraces.eu/conest/
http://www.israelihouse.net/paraleel-traces
ჟიური: https://paralleltraces.eu/conest/#jury

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7435; ევრო - 3.0831;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5737;
100 რუბლი - 4.1994; თურქული ლირა - 0.4479;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6141;
1000 სომხური დრამი - 5.6955.

ამინდი 15 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+26
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+29
თბილისი:	ღამე	+13,	დღე	+29

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge